№ 44

1877—1905

№ 44

კვირა, 3 აპრილი

კვირა, 3 აპრილი

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია".

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 აპრილადან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

მატრონე მათეს ასული ბაქრაძისა შვილებითურთ, ანასტასია დავითის ასული ბაქრაძე და **ეფემია დავითის ასული შატილოვისა შვილებითურთ** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი—საყვარელ მეუღლისა, მეორენი—ძვირფას ძმისა, უეცრივ გარდაცვალებას

იოსებ დავითის ძის ბაქრაძისას.

პანაშვიდი კვირას, საღამოს $7^1/_2$ საათზე, ხოლო გამოსვენება დანიშნულია ორშაბათს, 4 აპრილს, ანჩისხატის ტაძარში, დილის $9^1/_2$ საათზე, საკუთარ სახლიდან (ბაგრატიონის ქუჩა).

განცხადება.

ძმ. თ. მამშევების ქარვასლის ვაჭრები

ამით საყოველთაოდ აცხადებენ, რომ ამა 1905 წ. 28 მარტიდან (გასულ ორშაბათიდან) **ვაჭრობა იწყება დილის რვა საათზე და თავდება საღამოს 6 საათზე**. ამასთანავე, დადგენილია ყველასათვის **სავალდებულოდ შემდეგი წეს-რიგი:** ვაჭრობა სწარმოებს ულაპარაკოდ, ფასის აუწევ დაუწევლად და, გარდა ამისა, აკრძალულია მუშტრების დაძახება-შეხმობა მაღაზიებში.

თუ ვინიცობაა ამ ყველასათვის სავალდებულო წესრიგს ვინმე დაარღვევს, უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ მუშტრებს, დაუყოვნებლივ აცნობონ ამის შესახებ თამამშევის ქარვასლის ვაჭრებს ბ-ნთ ს. ი. **ფორაქაშვილსა და ს. გ. ფარეშოვს**, რომელნიც არჩეულნი არიან ქარვასლის ვაჭართაგან.

(5—1)

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა.

კვირას, 4 აპრილს, სადღესასწაულო წარმოდგენა იქმნება 3 განყოფილებად. სხვათა შორის, მეორე განყოფილების ბოლოს გაიმართება **სამი კავკასიური ჭიდაობა**. პირველად იჭიდავებს სახელგანთქმული კავკასიელი ფალავანი **ვანო თარხნიშვილი** ცნობილ **ალნაბიურ არუთინასძე მედროვესთან**. ჯილდო ვერცხლის საათი. მეორედ იჭიდავებს სახელგანთქმული კავკასიელი ცნობილი ფალავანი **ჯიბგირი** ცნობილ კავკასიელ ფალავან **ვანო სალურამიანთან**. ჯილდო ვერცხლის საათი. მესამედ იჭიდავებენ ჭიდაობის მოყვარულნი უჯილდოოდ. დასასრულ „კეკვუოკი" გაიმართება. მონაწილეობას იღებს მთელი დასი. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

1—1

ქართული წარმოდგენა

(იაფ-ფასიანი)

არტისტიულ საზოგადოების თეატრში

ორშაბათს, 4 აპრილს 1905 წ.

ვალერიან გუნია გამართავს წარმოდგენას.

წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

მეზობლები

თანამედროვე დრამა 4 მოქმ., ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ა. კარგარეთელი, ბ. ნებიერიძე, ნ. დავითიშვილი, ო. ლეჟავა; ბ-ნი: ვ. გუნია, გ. გედევანოვი, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი, საფაროვი და სხვ.

ადგილების ფასი დაკლებულია

შეგირდებისათვის კუპონები ლოჟებში 40 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ვეტცელის თეატრი

ოთხშაბათს, 6 აპრილს, **ქართულ თეატრის არტისტის ვ. ა. აბაშიძის სასარგებლოდ**

წარმოდგენილი იქნება:

1. **საუბედურო დებიუტი**—ვოდევ. 1 მოქმ.
2. **ბიძიასთან გამოხუმრება**—კომედ. 1 მოქმ.
3. **საღამოს ერთი ცხვირი ხეირია**—კომ. 1 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ.ქ. საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჯავახიშვილ; ბ.ბ. აბაშიძე, ივანიძე, იმედაშვილი, იორდანოვი, საფაროვი, შალიკაშვილი.

დასასრულ **კონცერტი-დივერტისმენტი.**

მონაწილეობას მიიღებენ: რუსულ ოპერის არტისტები ბ. ტომაშევიჩი და ა. ალექსი-მესხიშვილი; კ. ჯაფარიძე, ი. ივანიძე.

ადგილების ფასი 2 მანეთიდან 30 კაპეიკამდე.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

რუსული წიგნები ი. გოგებაშვილისა.

1. **Государственный языкъ** въ грузинскихъ начальныхъ школахъ, პასუხად ბ. ოდოევს. ფასი ექვსი შაური

2. **Какъ поднять** Кавказскую народ. школу? ფასი ექვსი შაური.

3. **Къ вопросу** о мингрельской начальной школѣ. ფასი ერთი აბაზი.

4. **Правда о Тифлисѣ**, მეორე ბევრად შევსებული გამოცემა. ფასი ერთი აბაზი.

(3—6.—5)

საერთო კანონმდებლობა და დამოკიდებული ეროვნება.

კიდევ უნდა დავუბრუნდეთ იმ საგანს, რომელსაც უკანასკნელ დღეებში რამდენჯერმე შევეხეთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მოსაწყენი არაა და ყოველთვის ახლად და საინტერესოდ ჩაითვლება. ეს საგანია—საკითხი დამოკიდებულ ერთა მდგომარეობის პოლიტიკურ ცვლილების წინ და ცვლილების შემდეგ განახლებულ რუსეთში.

ეს საკითხი მით უფრო საყურადღებოა, რომ ჩვენში, როგორც ეტყობა, მოიპოვებიან ისეთი „ინტელიგენტებიც" კი, რომელთაც არ აქვთ ამ საკითხის შინაარსი სავსებით გამორკვეული და გათვალისწინებული.

ამ გამოურკვევლობისა და შეუგნებლობის მაგალითი ვნახეთ გუშინ-წინ თავად-აზნაურთა კრებაზე და მსგავს მაგალითებს ვხვდებით ხოლმე ცხოვრებაშიაც. თქვენ, იმედია, არ დაგვიწყებიათ ის სიტყვები, რომლითაც მიმართა კრებას ამიერიდან განთქმულმა მ. ვ. მაჩაბელმა: „ავტონომიის მოთხოვნა ეწინააღმდეგება რუსის ხალხის სურვილსაო. ჩვენ და რუსის ხალხი ერთად ვიტანჯებოდით, ერთს ტაფაში ვიწოდით და ახლა, როცა მოგვეცა ხმის ამოღების ნება, რუსის ხალხს ვეუბნებით: თქვენთან ერთობა არ გვინდა, თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვისო. ამას რუსის ხალხი არ მოგვიწონებსო", და სხვ.

ერთის სიტყვით, ამ ორატორის მსგავს პირთა აზრი და შეხედულება ცხადი და ადვილად გასაგებია: ისინი ამბობენ,—შეუერთდით რუსეთის მოწინავე საზოგადოებას და მოითხოვეთ მხოლოდ ის და დაკმაყოფილდით მხოლოდ იმით, რასაც რუსეთის საზოგადოება მოითხოვს და მოიპოვებსო.

— მაგრამ ჩვენ რომ რუსნი არა ვართ და, გარდა რუსულ მოქალაქობრივ უფლებებისა, ეროვნული, ე. ი. «არა რუსული» უფლებებიც გვესაჭიროებაო?—ჰკითხავთ თქვენ, მაგრამ თავისებურ «ერთობის» მქადაგებელი ამ კითხვაზე პასუხს არ გაძლევთ და ვითომ ამით გაკმაყოფილებთ, რომ ეს უფლებები „რუსის ხალხს არ მოეწონებაო".

რასაკვირველია, ძნელია ისეთი კაცის დარწმუნება, რომელიც სხვისის დაწუნებითა და მოწონებით ხელმძღვანელობს და თავის ხალხის სარგებლობის საქმეს პრინციპიალურად გარეშეთა გემოვნების საფუძველზე ამყარებს.

მას ეუბნებიან: ჩვენთვის უფრო სასარგებლოა გვქონდეს უფლება—ჩვენი შინაური ცხოვრება ისე მოვაწყოთ, როგორც ჩვენს ადგილობრივ მოთხოვნილებათა და საჭიროებათ შეეფერებაო. ჩვენ გვინდა ჩვენისავე სისხლით მორწყულ მიწაზე ვიცხოვროთ, ტერიტორია შევინარჩუნოთ, მიწადმომქმედს მამული მივცეთ, ენა დავიცვათ, თავისუფალი განათლება მივიღოთ, ჩვენ გვინდა მშრომელი ხალხი ზევით ავწიოთ, გავაღონიეროთ, კულტურულად ავამაღლოთ, ჩვენ გვინდა, ვითარცა ხალხი, ვითარცა ერი, ავღორძინდეთ, განვვითარდეთ, მსოფლიო კულტურის ღირსეული თანამონაწილე შევიქნეთ. გაურკვეველ „ერთობის» მოტრფიალე ამ მოთხოვნის პასუხად ორის სიტყვით გამშვიდებთ: საერთო კანონის ორგანოში ჩვენც გვეყოლებიან წარმომადგენლები და იქ „ლიბერალურ» კანონებს დააწესებენო. ტყუილად დაუწყებთ რწმუნებას: თუ ის—რაღაც „ლიბერალური" კანონებია,—კარგი არის, ბარემ ის არ ემჯობინება, ჩვენვე გვქონდეს უფლება მათის შემოღებისა და პარლამენტში უმრავლესობის შემადგენელ სხვა ხალხის წარმომადგენელთა სურვილისაგან არ ვიყოთ დამოკიდებულნიო?—ის მაინც თავისას გაიძახის და გამედებთ, რომ სხვები ჩვენს საქმეს ჩვენზე უკედ გაგვიკეთებენ.

სამწუხაროდ, ისტორიული მაგალითები არ ამართლებს ამგვარ ოპტიმისტობას. არის ქვეყანაზე ისეთი „ლიბერალური" სახელმწიფოები, სადაც პატარა, დამოკიდებული ერები ცხოვრობენ და, მიუხედავად კანონმდებლობის „ლიბერალობისა", ამ ერთა ეროვნული ცხოვრება და ხალხოსნური განვითარება ფრიად შევიწროვებული და დაბრკოლებულია. გაბატონებულ ერის ბურჟუაზია თავის ჯიბის წყაროდ სთვლის დამოკიდებულ ხალხის ქვეყანას და ცდილობს მის ნივთიერ და სულიერ ძალ-ღონის გამოცლას. ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ რუსეთში, როცა ახლანდელის გატაცების დრო გაივლის და რუსეთის ბურჟუაზიის ბატონობა ექნება, ჩვენს შესახებ მეტ გულმტკივნეულობასა და ყურადღებას გამოიჩენენ და ცხოვრების უკეთეს პირობებში ჩაგვაყენებენ, ვიდრე, მაგალითად, პოლონელები არიან ავსტრიასა ან გერმანიაში. საკონსტიტუციო დაწესებულებათა შემოღების შემდეგ რუსეთის ბურჟუაზიის ფართო ასპარეზი გაეხსნება და ის შორიდან და მორიდებულად აღარ დაგვიწყებს ცქერას, როგორც ამდენხანს, ბიუროკრატიულ რეჟიმის დროს, ძალა-უნებურად შვრებოდა.

ჩვენი ბრძენი ორატორი კი à la ჯაბადარ-მაჩაბლისა სწორედ ამ ბურჟუაზიის ყმობას გვიქადაგებენ და ქართველ ერს გათახსირების გზაზე დადგომას ურჩევენ.

კრებამ ღირსეულად დააფასა მათი სიბრძნე და პოლიტიკური მიმართულება. და იმედია, მათს „პროგრამას" ასევე ღირსეულად დააფასებს საზოგადოებაც...

ევროპა და რუსეთი.

ევროპის ჟურნალ-გაზეთობა ამჟამად გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს რუსეთის ცხოვრებას.

ევროპის საზოგადოება აცხადებს, რომ რუსეთის ახლანდელი მდგომარეობა მისთვის არ არის უცხო,—აქაც იგივე სიტყვებია, იგივე აღფრთოვანება, იგივე პირობები, რომელიც წინედ, ახალ წეს-წყობილების შემოღების დროს არსებობდა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში.

რუსეთის ახლანდელი მდგომარეობა ევროპას მის სიჭაბუკეს მოაგონებს და, აი, სწორედ ამიტომ აღტაცებაში მოდიან საზღვარ გარედ, როდესაც ხედავენ ხალხის გამოფხიზლებას და უყურებენ ბავშვისაგან პირველად გაბედულ სიარულს.

მაგრამ ამ სიხარულთან ერთად ევროპის საზოგადოებას შიშიც ემჩნევა,—ვაი თუ ისევე წაიბორძიკოს ახლად ფეხ-ადგმულმა ყმაწვილმა და გაგვიცრუოსო იმედი. იქნება, ისევე მალე ჩაჰქრეს ამოვარდნილი ქარიშხალი, როგორც უცებ დაიწყო.

საზოგადო განვითარების გზა ყოველგან ერთია და რუსეთიც ალბად იმავე გზაზე ივლის, რომელსაც ადგა წინედ ევროპაც, და მალე იმასაც ვნახავთ, თუ რას გვიქადის რუსეთის მომავალიო.

ევროპა საზოგადოდ ყოველთვის ნაკლებად იცნობდა რუსეთს,—მოუმზადებელი, უკულტურო ქვეყანა ეგონა და ივიწყებდა, რომ შინაურ ცხოვრებაში საზოგადოება თუ არ იღებდა ხმას თავის ნაირ-ნაირ საჭიროებათა შესახებ, მხოლოდ იმიტომ, რომ ლაპარაკის ნება არ ჰქონდა და ჟურნალ-გაზეთებიც ხომ ძალა-უნებურად გვერდს უხვევდნენ საზოგადო კითხვების გარკვევას.

მაგრამ ხალხი მაინც განვითარების გზას ადგა და მისმა განვითარებამ ბოლოს მშრომელ ხალხის მოძრაობაში იჩინა თავი. ის მოძრაობა ისეთი ძლიერი გამოდგა, ხალხმა ისე შეითვისა ახალი მოთხოვნილება, რომ ახლად ფეხ-ადგმულ ყმაწვილს აღარ ჰგავს და შეუძლიან ზოგიერთ კითხვაში მაინც თამამად ამოუდგეს გვერდში ევროპის საზოგადოებას.

რუსეთისათვის სრულებით არ არის საჭირო მაინცა-და-მაინც ყველაფერში გადმოიღოს ევროპის მაგალითები და ყველაფერში დაადგეს იმავე გზას, რომელიც განვლო უკვე ევროპის საზოგადოებამ. რუსეთს შეუძლიან ისარგებლოს ევროპის გამოცდილებით და პირდაპირ გადმოიღოს ის ცვლილება, რომელიც ევროპაშიაც მხოლოდ ზოგიერთ სახელმწიფოს აქვს შემოღებული.

რუსეთის თანამედროვე ცხოვრება, ის მრავალნაირი მოთხოვნილება, რომელიც წამოაყენა რუსეთში სხვადასხვა ერმა ან დაწესებულებამ, გვიმტკიცებს ნათლად, რომ ხალხის უმეტესობა ავტონომიურ თვითმართველობისკენ მიესწრაფება, რომ შემდეგ თანასწორი და შინაურ ცხოვრებაში თავისუფალი ავტონომიები შეერთდეს და ერთი დიდი და ძლიერი ფედერატიული სახელმწიფო დაარსდეს.

ასეთი საპოლიტიკო იდეალი სისრულეში თუ მოვიდა და ის სოციალ-ეკონომიური მინიმუმიც, რომელიც წამოაყენა მშრომელმა ხალხმა, თუ განხორციელდა, მაშინ ევროპის თვალში რუსეთი, რასაკვირველია, პატივისცემას დაიმსახურებს, როგორც ძლიერი და განვითარებული ქვეყანა.

განა არ შეიძლება რუსეთში დამყარდეს ის წყობილება, რომელიც ევროპას ჯერ ვერ შემოუღია თავისთვის.

შეიძლება, ვინაიდან ყველამ უნდა შეიტანოს თავისი წვლილი მსოფლიო ისტორიაში.

შეიძლება და ეს დიადი ხანაც ახლოა, უთუოდ. ამას მოწმობს ის ატმოსფერა, ის უხილავი ძალა, რომელიც ახლა თავს იჩენს რუსეთის სხვადასხვა კუთხეში და რომელმაც თავად-აზნაურობის უკანასკნელ კრებაზედაც იფეთქა და დიდებული წამი გაატარებინა იქ დამსწრე საზოგადოებას.

ფრიდონ.

ხმა მემამულისა.

ორმოც წელიწადზე მეტი გავატარე სასხორელ, ზემო-და-ქვემო ნიჩბელ, ხეკორძელ, ძეგველ და მცხეთელ გლეხკაცებთან და, მანამ შემეძლო, მეც გლეხკაცივით ვებრძოდი მიწას. უმოჯამაგიროდ მარტოდ-მარტო ვმუშაობდი, სწორედ ისე, როგორადაც ჩემი მეზობელი გლეხი: საქონელს დავდევდი, შეშას ვეზიდებოდი სახარჯოდ და, როცა გამიჭირდებოდა, გასასყიდადაც ს. ძეგვში საკირეებისთვის, ან ქალაქში. გლეხკაცებთან ერთად ვხნავდი მიწას, ვუთნის დედობას ვეწეოდი, ვმკიდი, ვლეწავდი. რაღა თავი შევაწყინოთ, არაფერს ვუკადრისობდი და სწორედ ისევე ვშრომობდი, როგორადაც გლეხკაცი, რომელსაც სიმშილით სიკვდილი არ უნდა. უფრო ხშირად სასხორელებთან ვიყავ; იმათთან ერთად ვდგებოდი დილის სისხამზე, მთელს დღეს ვშრომობდი, ხშირად მთელ ღამესაც, ხან მინდორში, ხან ტყეში, ხან ვენახში და არც მკათათვის სიცხეპაპანაქებას ვერიდებოდი, არც შემოდგომის ავდარს, არც ზამთრის ყინვას. მერე რა? დღესა და ღამეს ვასწორებდით, მიწას მართლა რომ ჩვენი ოფლითა ვრწყავდით, მაგრამ მაინც საშინელ სიღარიბეში ვიყავი (გლეხკაცობას მარტო იმიტომ ვჯობდი, რომ რამდენიმე დღიური მამული იმათზე მეტი მქონდა) და ჩემი მეზობელი გლეხები ხომ ნახევარზე დამშეულნი იყვნენ, რადგან მოსავალი წლის დამლევამდე არა ჰყოფნიდათ. და თუ გაგვიწყრებოდა ღმერთი და ამაოდ ჩაგვიტარებდა ნაჭირნახულევს—მოქანცული დედამიწა არ იძლეოდა მოსავალს, მსხმოიარე ვენახს სეტყვა გაგვიოხრებდა, გვალვა, ყინვა და სხვანი—მაშინ რომ ჯოჯოხეთის ალში იწოდა მთელი სოფელი. ეს ღვთის განგება იყო, სამართლიანი და ლმობიერი. მაგრამ ჩემი მეზობლები რომ პირუტყვივით შრომობენ და კუჭი კი ვერ გაუძღვიათ, თუნდა კარგი მოსავალიც მოუვიდეთ, ეს კი ღვთის განგებისაგან არ უნდა იყოს. ამის მიზეზი უმამულობა არის.

ხშირად შემოუჩივლიათ გლეხკაცებს—მამული არა გვაქვსო; წელებზე ფეხს ვიდგამთ და სიკეთეს კი ვერასა ვხედავთ, რადგან ერთ კალოს ოდენ ალაგს ჩავციებივართ, ვხნავთ და ვხნავთ შეუწყვეტლივად; ჩვენთვის გული არავის შესტკივა, თორემ, რომ უნდოდეთ, ადვილად გარიგდება საქმეო... ჩვენ ხომ სანადელო მიწები ჩვენს დღეში ვერ გამოვისყიდით და ბარემ დაგვისაკუთრონ და ცოტა შვება მოგვცენ; ხალხი მრავლდება, სხვადასხვა გადასახადი დღითი-დღე იზრდება და ამის გარდა თავიანთ ნაჭირნახულევის მეოთხედი მებატონეს უნდა მიართვან.

«ჩვენ უმამულოდ ლამის სული ამოგვხდეს, ჩიოდნენ გლეხკაცები, და სახელმწიფოს კი რამდენიმე მილიონი დღიური დაუსაკუთრებია და უგდია ისე უსარგებლოდ; სახელმწიფო მამული რომ ჩამოეჭრათ ჩვენისთანა უმამულოთათვის, რამდენი მშიერი გაძღებოდა, რამდენი ცხარე ცრემლი შეშრებოდა; ბევრი კი არა დააკლდებოდათ-რა! მაგრამ სად არის გლეხი-კაცისთვის ღმერთი და სამართალი! ან თქვენ რა დაგაკლდებოდათ თავად-აზნაურობას, მეტადრე დიდი მამულის პატრონთ, ნადელები რომ გვაჩუქოთ; ჩვენთა ძველთა ერთგული სამსახური მაინც გაიხსენეთ და იმათ ნაამაგევი ჩვენ გადაგვიხადეთ, იმათ შვილებსაო".

ვამშვიდებდი, როგორც შემეძლო, მოითმინეთმეთქი, ვეუბნებოდი, ამოდენ აღმართს დაღმართიც ექნება. ჩემს გულში-კი რომ ჩავიხედავდი, ეს დაღმართი თითონ მეც არა მწამდა, მაგრამ არ უნდა გამხმობოდა ენა, რომ მრავალტანჯულისთვის უკანასკნელი იმედი მომესპო სამართლიანი მომავლისა? მოითმინეთ, მეთქი, ვეუბნებოდი, ღმერთი მოწყალეა,—თითქო ავადმყოფს, მძიმე ავადმყოფს, ვუჯდე გვერდზე და გამხნევებას ვურჩევდი. როგორ მეთქვა ძიმწარით სავსე სიმართლე? ვიცოდი, რა შედეგი მოჰყვებოდა ნამდვილ სიმართლეს, მაშინებდა მის პასუხის გება, მაშინებდა ხალხის აღელვება, გამწაგება და ის გმობა აწინდელ წესწყობილებისა, რომელიც დღეს გამოიჩინა მთელმა საქართველომ. ასე გახლდათ ამ ოცი წლის წინად და ასევე გახლავთ ამჟამადაც, იმ ბრწყინვალე, აღთქმულ მომავლის წინა დღეს, რომელიც ერთხელაც იქნება უნდა განხორციელდეს. რის თქმასაც მე ვერ ვბედავდი, სხვებმა სთქვეს. ვისაც სნეულისთვის გული შესტკივა, დროზე მიაწოდებს წამალს; უებრო და, მაშასადამე, სასარგებლო მაშინ არის ყოველი საშუალება, როცა დროზე არის ნახმარი; გაჭირების დროს, როცა განსაცდელშია ადამიანი, თუ ერი, ერთი დღით, ერთი საათით რომ დაუგვიანოთ საჭირო წამალი, საუკუნოდ დაღუპავთ საქმეს. ჩვენ კი დავიგვიანეთ, მეტად დავიგვიანეთ და მგონია, ჩვენ მემამულეთ, დღეს მაინც უნდა ავასრულოთ ის, რაც ამ ოცის წლის წინადვე უნდა აგვესრულებინა... ასეთია ჩვენი ბუნება, ყველაფერში უკან ჩამორჩენილნი უნდა ვიყვნეთ, მაგრამ დღეს მაინც ნუ ვაყოვნებთ და პირნათლად ავასრულოთ ჩვენი მოვალეობა.

საზოგადო მღელვარების მოსასპობლად, არა მგონია, ვცდებოდე, ერთი საშუალებაა საჭირო და მივმართავ ყველა მემამულეს თხოვნით—გამოუცხადონ, რომ საუკუნოდ და სრულ საკუთრებად უთმობენ გლეხ-კაცთ სანადელო ყველა მამულს, ესე იგი მიწებს, ვენახებსა და სამოსახლო ადგილებს; იმ გლეხ-კაცებს კი, რომელთაც სანადელო არა რგებიათ, მიეცეს იმოდენივე მამული, რამოდენიც იმათ ძმათა აქვთ მიცემული. გარდა ამისა, ყველა გლეხ-კაცთ უფლება უნდა ჰქონდეთ მინიჭებული უსასყიდლოდ მოიხმარონ საძოვარი, სარწყავი წყალი და ტყე, კომლზე ნახევარ საჟენი ხმელი შეშა და ნახევარ საჟენი ფიჩხი.

„იმედი მაქვს ჩემს წინადადებაში საშინელს არაფერს დაინახავს თავად-აზნაურობა და ყველანი, თუ არა მემამულეთა უმრავლესობა მაინც მომემხრობა. ოღონდ ჩემს წინადადებას შემდეგ პირობას ვუდებ, და ეს პირობა უთუოდ უნდა ასრულდეს: მემამულეთაგან გლეხკაცთათვის სახმარად და სასარგებლოდ დათმობილი მამული ახალმა პატრონმა გლეხკაცმა ან იმისმა მემკვიდრეებმა არც გაყიდონ, არც აჩუქონ, არამედ თითონ იხმარონ და მემკვიდრეობით გადასცენ თავიანთ შთამომავალთ. ამიტომ ვბედავ და მივმართავ გლეხკაცებს—სთხოვონ უმაღლეს მართებლობას, რომ 1) მიენიჭოთ მათ სანადელო მამული ათ-ათი დღისა კომლზედ, რომელთაგან ექვსი დღისა სახნავი იყოს და ოთხი ტყე; ამ ნადელში, რასაკვირველია, არ ჩაითვლება სამოსახლო ადგილები, რომელზედაც დღეს დგანან; 2) მიეცეთ უსასყიდლოდ სახაზინო ადგილიდგან წელიწადში კომლზედ ნახევარ საჟენი ფიჩხი; 3) მიეცეთ ნება უფასოდ აძოვონ თავისი საქონელი ახლო-მახლო მდებარე სახელმწიფო მიწებში; 4) მიეცეთ უფლება უსასყიდლოდ იხმარონ სარწყავი წყალი.

რა დროს შუღლი და უთანხმოებაა? თუ გავხდებით რასმე, დღეს გავხდებით, თუ სახელმწიფოს აწინდელ გარემოებით ვისარგებლებთ. ამისთვის კი საქართველოს ყველა წოდებათა სრული თანხმობა არის საჭირო. ვისაც სწამს მომავალი და წარმატება თავის ქვეყნისა, ყოველგვარ უსიამოვნებას და უთანხმოებას უკუაგდებს და შეერთებული ძალით ეცდება იმ ნეტარ ცხოვრების დამყარებას, რომელმაც აწინდელი სილატაკე, ნივთიერი და სულიერი—უნდა აგვაშოროს.

პირადად მე სრულიად უსასყიდლოდ ვუთმობ გლეხკაცებს სანადელო ჩემს მამულებს, თუმცა მთელ ჩემ ავლადიდებას სასხორში 36 დღის მიწა შეადგენს.

გარდა ამისა, ვთხოვ გლეხკაცობას, ნუ მიმართავენ კერძო პირთა და სახაზინო ტყეებს, ნუ შეეხებიან სხვის საკუთრებას, რადგან იმდენს ვერას შეიძენენ, რამდენსაც თავს შეირცხვენენ.

რაც შეეხება მამულზე დადებულ ხარჯს, ფოსტის ფულსა და სხვა მრავალ გადასახადს, რომელიც სულთა-მხუთავად აწევს ჩვენს ხალხს, მის შემცირება მემამულეებზედ არ არის დამოკიდებული. რაც ჩვენ ხელთ არის, ვთმობთ კიდეც და სხვა კი მართებლობის საქმეა; ჩამოვა ახლად დანიშნული ნაცვალი ხელმწიფისა გრაფი ვარანცოვ-დაშკოვი და, იმედია, გლეხი-კაცის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისთვისაც იზრუნავს.

თ. ი. მ. გედევანიშვილი.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

1 აპრილი.

ხარკოვი, 1 აპრილი. წუხელის ქალაქის საკრებულო ტაძრიდან მოიპარეს სასწაულთმოქმედი ხატი იხტირის ღვთისმშობლისა. დღისით გაძარცვული ხატი იპოვნეს. ქურდებს ოქრო და ბრილიანტები წაუღიათ.

სოფია, 31 მარტი. სერბიასთან სავაჭრო საქმეთა გამო უთანხმოება მოისპო ძველის ხელშეკრულობის ვადის პირველ ენკენისთვემდე გადადებით. ბელგრადში მოლაპარაკებაა გამართული ახალის ხელშეკრულობის დასადებად. მოლაპარაკება მალე დასრულდება.

ოდესა, 1 აპრილი. ზოგიერთა გაზეთების მიერ გავრცელებული ხმები ნავთსადგურის მუშათა გაფიცვის შესახებ—მოჭორილია. ჩარჩ მოიჯარადრეთ გემების გადმომტვირთავ მუშების დაჯაბნვა უნდოდათ და დღიური ფასი მოუკლეს. მუშები მთელი დღე ევაჭრებოდნენ. მოიჯარადრენი და მუშები მორიგდნენ და საქმე ჩვეულებრივად მიმდინარეობს.

პეტერბურგი. უმაღლესად ებოძა ორდენები: თეთრი არწივისა ზაბაიკალის კაზაკთა დივიზიის პირველ ბრიგადის უფროსს გენერალ-ლეიტენანტს გრეკოვს; წმ. ანნასი პირველ ხარისხისა ციმბირის კაზაკთა დივიზიის უფროსს გენერალ-მაიორს სამსონოვს.

მოსკოვი. გუშინ სასამართლო პალატამ პროკლამაციების გავრცელების საქმეზე მიუსაჯა ციხეში დაპატიმრება ორი თვით ბარამოვს, წელიწად-ნახევრით მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს ევონოვს, გიუნნერს, მაზურინს და ორ დას ემელიანოვებს, ორი წლით საპატიო მოქალაქეს ტროიცკის.

სამარა. ერობა იწვევს სტუდენტ-ექიმებს ხოლერასთან ბრძოლისთვის.

ლონდონი. ზემო პალატა. ლორდი რეი რუსეთიდან გამოგზავნილ კორესპონდენციის კონტრაბანდის შესახებ აქცევს კრების ყურადღებას და ეკითხება გარეშე საქმეთა სამინისტროს, მიიღო თუ არა ინგლისმა რუზველტის მოწოდება მშვიდობიანობის მეორე კონფერენციაზე დასწრების შესახებ. ორატორი კითხულობს, არის თუ არა მიღებული მხედველობაში შემდეგი კითხვები: უთუო და საეჭვო კონტრაბანდის გარჩევა, გემების გაჩხრეკის აკრძალვა, აკრძალვა დაჭერილ საქონლის მოსპობისა და ზარალის გადახდა იმ შემთხვევაში, თუ ეს საქონელი რამე მიზეზით მოსპობილი იქმნა; გამოძებნა საშუალებისა მოძრავ ნაღმებისაგან სანეიტრალო გემების დასაცველად; უმავთულო ტელეგრაფით სარგებლობის მოწესრიგება და საპრიზო სასამართლოს დაარსება. ლორდმა ლანსდოუნმა უპასუხა, ინგლისის მთავრობა შეუერთდა რუზველტის მოწოდებასა. საჭიროა მოლაპარაკება იმაზე, თუ რა საკითხები ექმნება მშვიდობიანობის მეორე კრებას გადასაწყვეტი. კონფერენციის მოწვევის ვადა დამოკიდებულია თვით პრეზიდენტზე.

სტამბოლი. ხალხი შეწუხებულია იმის გამო, რომ იემენიდან არავითარი ცნობა არ მოდის; ამბობენ, რიზა-ფაშას აჯანყებულებმა გარს შემოუარესო. სოფელ ზაგრანიჩნიში აჯანყებულ ბერძნებისაგან ხალხის ამოჟლეტის ამბავი მართლდება.

ჰელსინგფორსი. სეიმის შემოდგომამდის გაგრძელების შესახებ თხოვნაზე არ მოვიდა უმაღლესი ნებართვა. სენატორმა გენეცმა წაუკითხა ყველა წოდებას უმაღლესი ბრძანება შაბათს სეიმის დახურვის შესახებ.

კოვნო. ურიათა საზოგადოების წარმომადგენელნი თხოულობენ, რომ საბჭომ ისარგებლოს 18 თებერვლის უმაღლეს ბრძანებაში გამოთქმულ ნებართვით, მოილაპარაკოს თუ რა საშუალების მიღება არის საჭირო სახელმწიფო წესწყობილების და ურიათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რუსეთში, და გამოაცხადოს, რომ ურიებს ქრისტიანების თანასწორე საარჩევნო უფლება უნდა ჰქონდეს მანიჭებული საქალაქო საქმეებშიო.

პარიზი.—გერმანიის ელჩმა პარიზში გამართა სადიპლომატო სადილი, რომელსაც დაესწრნენ ნელიდოვი და დელკასე. ანაზდეულად გარდაიცვალა მელინის ჯარის უფროსი მაიორი გენარი.

მესსინა. იმპერატორი ვილჰელმი კორფუში ჩავიდა.

რომი. რუსეთის ელჩი მურავიოვი გუშინ ჩამოვიდა რომში და თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

ნიცცა. გემ „პეტროპავლოვსკის“ დაღუპვის წლის თავზე, უმაღლეს პირთა თანადასწრებით, პანაშვიდი გადაიხადეს.

ჰელსინგფორსი. სენატმა გადასწყვიტა დასთანხმდეს საერო კრების გადაწყვეტილებას იმას შესახებ, რომ 1903 წ. 28 ოქტომბერს გამოცემული დადგენილება ფინლიანდიაში ცალკე ჟანდარმთა კორპუსის შესახებ გაუქმებულ იქმნესო.

ლონდონი, 31 მარტი. ლანსდოუნი ლორდ რეის საპასუხოდ აცხადებს, რომ ინგლისმა რუსეთის მთავრობას შეეკითხა იმ ზარალის შესახებ, რომელიც რუსეთისაგან ინგლისს მოსვლია. ეს შეკითხვა სულ უმნიშვნელოდ არ დარჩენილა სანოვაგის შესახებ მაინც.

პეტერბურგი, 1 აპრილი. სწავლა-განათლების სამინისტროში არკვევენ პროექტებს სასწავლებლების რეფორმის შესახებ. აპირებენ შესცვალონ სახალხო სასწავლებლები, უნდა გააფართოვონ საერობო, საზოგადოების და წოდებათა უფლებები სასწავლებლების გახსნის და გამგეობის საქმეში. უნდა შესცვალონ საქალაქო სასწავლებლები, შეიმუშაონ ნორმალური წესდება სწავლა-განათლების გამავრცელებელ საზოგადოებათათვის, ქალთა საოსტატო სემინარიებისთვის, მოკლე ვადიან საპედაგოგიო კურსებისთვის. გადასინჯავს მასწავლებელთა კრებების წესდება, შეიმუშავებს წესდება სახალხო წიგნთსაცავების და სამკითხველოებისათვის. არკვევენ პროექტს საყოველთაო სწავლა-განათლების გასავრცელებლად საზოგადო ძალთა დახმარებით. უნდა გააფართოვონ მასწავლებელთა საპენსიო კასსების მოქმედება. ინიციატივს დიდი უფლება უნდა მიენიჭოს სწავლა-განათლების საქმეში კერძო პირებს და საზოგადოებას.

რუსეთის მთავრობა დაეთანხმა ინგლისის აზრს.—მღელვარება კრიტოსზე არ შეწყვეტილა. მეამბოხეებმა კანეაში ათი ჟანდარმი შეიპყრეს. ამბოხების ყოველ ღონეს ხმარობენ უწესოებანი არ მოხდეს. სუდის ნავთსადგურში ახლო მომავალში იტალიის დიდ ესკადრას მოელიან.

პეტერბურგი, 1 აპრილი. ოფიციალური. „ტორგოვო პრომიშლენი გაზეთში“ დაბეჭდილია, ფინანსთა სამინისტრო მალე განიხილავს სახელმწიფო გარდასახადთა შემოსავლის დაკვარად აკრების საკითხს. ამისთვის უნდა შესდგეს რჩევა ფინანსთა მინისტრის ამხანაგის კუტლერის თავმჯდომარეობით. რჩევაში მიიღებს მონაწილეობას ფინანსთა სამინისტროს მოსამსახურენი, საფინანსო და საეკონომიო საკითხების სპეციალისტები. რჩევამ უნდა გამოიკვლიოს, რამდენად სასურველი და შესაძლებელია ჩვენში შემოსავლის დაკვარად ხარჯების აკრეფის შემოღება, რანაირი სისტემა უფრო შეეფერება რუსეთს და აგრეთვე ცნობების შეკრების პროგრამა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ამ რეფორმების შემოსაღებად.

ჰელსინგფორსი, 1 აპრილი. გამოცხადებულია უმაღლესი მანიფესტი 2 აპრილს სეიმის დახურვაზე.

ხარკოვი, 1 აპრილი. სოფელ ბაბაევის გლეხებმა კრებად თავი მოიყარეს, მოილაპარაკეს რა, რომ იმდენი მიწა არ უჭირავთ, რამდენიც „უსტავნი გრამატაში“ უწერია, წავიდნენ ფერტის მამულში და ტყეს კაფვა დაუწყეს. გამოწვეულია კაზაკები. ტყის კაფვა შესწყვიტეს.

პეტერბურგი, 1 აპრილი. 31 მარტს საღამოზე გზათა მინისტრი ხილკოვი გაემგზავრა. ბრძანება საზღვაო უწყებას: „ნიკოლაევის საზღვაო აკადემიის მასწავლებელმა მეორე რანგის კაპიტანმა კლადომ გაზეთ „ნოვოე ვრემია“-ში დასტამბა წერილი, რომელშიაც სასტიკად და უადგილოდ მოიხსენია საზღვაო სამინისტრო. ამის გულისთვის ის სამსახურიდან გამორიცხულ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვაფასებ რა კაპიტან კლადოს წარსულ სამსახურს, შესაძლოდ ვსცნობ, მხოლოდ სასტიკი შენიშვნა გამოეცხადოს. და რომ შეძლება მიეცეს თავისი დანაშაულობა გამოისყიდოს, ვაძლევ მას შორეულ-აღმოსავლეთში ჩაიბაროს მდინარეთა გემების უფროსობა“. ხელი მოაწერა გენერალ-ადმირალმა ალექსიმ“.

ბაქო, 1 აპრილი. 31 მარტს ხოლერით სამი კაცი გახდა ავად, ერთი მათგანი გარდაიცვალა.

კოვნო, 1 აპრილი. ებრაელთა საზოგადოების თავმჯდომარეთ ქალაქის მოურავს განცხადება წარუდგინეს, რომელშიაც აწერილია ებრაელების უფლებანი და გაჭირვებული მდგომარეობა ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეში. ქალაქის საბჭოს სთხოვეს, 18 თებერვლის ბრძანების ძალით შეამუშავონ ზომები გასაუმჯობესებლად და განსავითარებლად ამ მხარისა და მისი ქალაქებისა. ამასთან ებრაელნი ამტკიცებენ, რომ მისი განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ყველას ადგილობრივ ერს ექმნება სამოქალაქო და საპოლიტიკო ყველა უფლებანი.

ოდესა, 1 აპრილი. მოვიდა პორტ-არტურელების მეთოთხმეტე ჯგუფი. დაჭრილებიც არიან.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

2 აპრილი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა: განსაკუთრებულ კომიტეტის მიერ ფლოტის გასაძლიერებლად შეკრებილ შემოწირულებათა თანხით ახლად აგებული ნაღმოსანი გემი ჩაირიცხოს ფლოტში და სახელად „კეტა“ ეწოდოსო.—სამხედრო უწყების ბრძანებისა გამო მეორე რანგის კაპიტანს კლადოს განსაკუთრებული თანამდებობა დაეკისრა. უნდა შეიარაღოს და ეუფროსოს ბრძოლის ველის მდინარეთა გემებს.

ლონდონი, ოფიციალურად. 30 მარტს დილით აღმოსავლეთისაკენ მიმავალი იაპონიის რაზმი ფუშუნხაილუნის გზაზე ედრახლის მახლობლად ინპანძინშის აღმოსავლეთით 7 მილის მანძილზე და ინპენიდან 20 მილის მანძილზე აღმოსავლეთითვე, რუსების ქვეითა პოლკს შეხვდა. 6 ესკადრონი იყო და 4 ზარბაზანი ჰქონდათ. რუსებმა ხაილუნსკენ დაიხიეს. 29 მარტიდან დაწყებული რუსები გირინის გზით თანდათან უკან იხევენ. დანარჩენი ცვლილება არა არის-რა. ოკუმა აცხადებს: ხალხი თხოულობს ზავი მხოლოდ ისეთის პირობებით ჩამოვარდეს, რომ ომი აღარ განმეორდესო. ჩინეთის ტერიტორიის ხელახლად დასაპყრობად რუსეთს ყოველივე საშუალება უნდა მოესპოს. იაპონიას აღარა სურს კვლავ ხალხი და ფული უმსხვერპლოს. შორეულ აღმოსავლეთში რუსეთს სტრატეგიული ყოველივე უპირატესობა უნდა წაერთვას და ნება არ უნდა ჰქონდეს ჩინეთისა და იაპონიის ნაპირებზე ფლოტი იყოლიოს. პორტ-არტური, ვლადივოსტოკი და სახალინი, რომელიც ძველის უფლებით გვეკუთვნის, საჭიროა იაპონიას შეუერთდესო. ინგლისის შესახებ ოკუმამ სთქვა, ტიბეტის შესახები საკითხი იმიტომ გადაწყდა, რომ ინდოეთის იმპერია რუსების შესევისაგან უზრუნველ გვეყოო. და დაუმატა: რადგანაც შორეულ-აღმოსავლეთში ბრიტანიის ვაჭრობა სჭარბობს, ინგლისისთვის სასარგებლო იქნება იაპონიის სამფლობელოს გაფართოვებაო. აქ ჩვენ სახეში არა გვაქვს მანჯურიაში მამულების იჯარით შეძენა. მანჯურია ჩინეთის საკუთრებად გვაჩნია, თუმცა იაპონია ყოველ საშუალებას იღონებს, რომ კარღიობის პრინციპი განხორციელდეს. გამარჯვებული თავის უზრუნველ-ყოფილებაზე უნდა ჰფიქრობდეს და ახლანდელი შემთხვევა ძალიან ხელსაყრელია იაპონიის პოლიტიკის განსავითარებლად. იაპონიას სურს ყველა პატივისცემით ეპყრობოდეს და საერთაშორისო საქმეების გადაწყვეტის დროს იმის აზრსაც კითხულობდენო.

სინგაპური. ნიდერლანდის ესკადრა რიუს სრუტეში ნახეს.

ტოკიო. პესკადორის კუნძულების ნავთ-სადგურებში ოფიციალურად გამოცხადებულია სამხედრო წესები. დაარსდა დროებითი საზღვაო სასამართლო და საზღვაო საპყრობილე.

ლონდონი. „სტანდარტი“ იუწყება, იაპონიის საზღვაო მართებლობამ განკარგულება მოახდინა, ზოგიერთა ცვლილებები შეიტანოს იმ სამხედრო გემების მოწყობილებაში, რომლებსაც იაპონიის მთავრობისთვის ბაჩრაუში და ელსვიკში აშენებენ; ყუმბარებისა და თოფის წამლის საწყობები უფრო მეტად უნდა იქმნას დაცული, ვიდრე ეს არსებულ გემებზეა. ეს ცვლილებები გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ უკანასკნელ ბრძოლებში ნაღმები გემების ნაწილებს ადვილად ანადგურებენო.

ამსტერდამი, 1 აპრილი. გაზეთ «ტელეგრაფს» ბატავიიდან ატყობინებენ, ის ცნობა ვითომ კოხინხინის სანაპიროებზე იაპონელები უნახავთ, არა მართლდება. რუსის კრეისერები გუშინ საიგონთან გამოჩნდნენ. ჰოლანდიის ესკადრა ანამბის კუნძულებთან დადის. ბაპკას ახლო-მახლო რუსის ესკადრა არ ყოფილა. ის ცნობა, რომ გემი „გინდუ“ ბილლიიტონის ახლოს ნახშირით იტვირთებოდაო, სიმართლეს მოკლებულია, რადგან იქ ნახშირი აღარ არის.

რუსის ჯავშნიან გემების შესახებ ცნობები არ არის.

ბერლინი, 1 აპრილი. «ლოკალ-ანცეიგერს» ნამდვილ წყაროებიდან გაუგია, რომ რუსის ფლოტს ტოგო ფორმოზასთან უცდისო.

ლაბუანი, 1 აპრილი. ამერიკული კრეისერი „რალეი“, რომელიც 24 მარტს მოვიდა, დღეს დილით ჩრდილოეთისაკენ გაემართა.

ტოკიო, 1 აპრილი. (რეიტერი). ნავთსადგურ მაკუს პესკადორის კუნძულებზე ალყა აქვს შემორტყმული. უნდა დაწესდეს საზღვაო სასამართლო.

ნიუ-იორკი, 1 აპრილი. (რეიტერი), ადმირალი ტრეინი მანილლიდან იტყობინება, საიგონიდან დეპეშა მივიღე, რომ 31 მარტს, დილის 8 საათზე, იქ მისულა საავადმყოფო გემი „ორიოლი“ და ბევრი დაჭრილი მიუყვანია. **შენიშვნა:** მთავარი შტაბის ცნობებით «ორიოლი» საიგონში მართლა მივიდა. მაგრამ ის ცნობა, რომ მრავალი დაჭრილები მიიყვანაო,—ტყუილია.

სიტიაზა, 31 მარტი. დილის 7 საათი და 38 წუთი. თითქმის ყოველ დღე ჩვენი მოწინავე ნაწილების მზვერავ რაზმებს მტერთან წვრილი შეტაკებები მოსდის. მოწინააღმდეგე აქტიურ მოქმედებას არ იჩენს. მტერი კაიუნის ჩრდილოეთით ოთხ ვერსზეა დაბანაკებული.

ტოკიო, 1 აპრილი. საზღვაო სამინისტრო საიგონთან ომის შესახებ ხმებს უარჰყოფს. ოფიციალურად გამოცხადებულია, რაზმმა, რომელიც მიდიოდა აღმოსავლეთის მხრივ ხაილუნის გზაზე, 30 მარტს ერხოულთან რუსები დაამარცხა. რუსებს ჰყავდათ 1 პოლკი ქვეითა ჯარი, 600 ცხენოსანი,—4 ზარბაზანი. რუსები გირინის გზაზე თანდათან უკან იხევენ. მათი უკანა ჯარი, 12,000 კაცი, ჯერ კიდევ ხაილუნჩენის მიდამოებში არის. იმ რაზმმა, რომელმაც გირინის გზით კაიუანიდან უკან დაიხია, გირინს მიაღწია.

ჰააგა, 1 აპრილი. არც ჰოლანდიის ინდოეთის ადმინისტრაციისა და არც იაპონიის საელჩოდან ანამბის კუნძულებთან საზღვაო ბრძოლის შესახებ არავითარი ცნობები არ მოსულა. როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს ჰფიქრობენ, რუსის ესკადრა ამ ცოტა ხანში ინდოეთის წყლებიდან გამოვაო.

ლონდონი, 1 აპრილი. გარეშე საქმეთა სამინისტრომ არ იცის გერმანიის გემის «ხინდიოს» დაჭერის მიზეზი. ეს გარემოება ვერაფრით ვერ აუხსნია, რადგან გემი ესკადრას მისდევდა, მაგრამ ესკადრისთვის ნახშირი არ მიჰქონდა. სამინისტროს ამის შესახებ შეეკითხნენ.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

მომავალი ბრძოლა ზღვაზე. როჟესტვენსკის ესკადრა ლიბავიდან სინგაპურამდე 177 დღეს მოუნდა. ეხლა საქმე საქმეზე მიდგა, მედგარ ტოგოსთან ბრძოლა აუცილებელია, უკან დაწევა კი შეუძლებელია, [illegible] ნიე და მარჯვნივ გაფანტულია მხოლოდ [illegible]ეიტრალო ნავთსადგურები, სადაც დამარცხების შემდეგ მხოლოდ იარაღის აყრა შეიძლე[illegible] მაგრამ არც

ფელეტონი

სიმღერა ინგლისელებს.

(შელლი)

ინგლისელებო, თქვენ გუთანს ათრევთ,
მუშაობთ რისთვის, მუშაობთ რათა?
რომ ასაზრდოოთ ჩვენი ლორდები,
იმათ გაუხდეთ მონათ და ყმათა?!

—

ინგლისელებო, მაგ ძვირფას ფარჩას
ვისთვის ამზადებთ, ვისთვისა ჰკრავთ?
და შავს რკინასა მიწის ჯურღმულში
ვისთვისა სჭედავთ, ვისთვისა ჰფერავთ?!

—

ოხ, თქვენ მუშაობთ ბორკილებისთვის,
ძმებო, ფუტკრებო, ტკბილის თაფლისა,
თქვენია მხოლოდ სისხლი და ოფლი
და ნაშრომი კი სულ სხვისა... სხვისა!..

—

ჩემის ტანჯულის სამშობლოს შვილნო,
მე დღეს ძმა თქვენი გესაუბრებით
და ეს იცოდეთ, ერთს უღელს ქვეშა
შებმულნი, პირშიც ერთად ვიქნებით!

—

აჰა, იქ ცელი მუშაობს, თიბავს,
მითხარით, გაქვთ თქვენ სახლში ბალახი?
ყანასა თიბავს თქვენი მარჯვენა,
თქვენ კი სიმშილით გაგაქვთ ლასლასი!

—

გათიბეთ თივა, მომკეეთ ყანა,
შეიძინეეთ თვითონ სიმდიდრე,
მაგრამ ყველა ეს თქვენი ოფლია,
ხალხო, ნაღვაწი შენ დაიმკვიდრე!

—

გამოჭედეეთ რკინა, ფოლადი,
მაგრამ ისე, რომ თქვენ გამოგადგეთ,
და არა ისე, რომ იარაღით
ხვალე ჯალათი თავს გადმოგადგეთ!

—

ოხ, ძმებო, ძმებო, გაიგონეეთ,
გვეყოფა ტანჯვა, გვეყოფა ცრემლი!
ცისკენ ნუ იშვერთ მოღლილს ხელებსა,
მაღლიდან შვებას და ხსნას ნუ ელით!

—

ძმებო, ბრძოლაში დავიხოცებით,
მაგრამ სამშობლო გაგვითხრის საფლავს,
და ჩვენი შრომა, სისხლი, ამაგი
ჩვენს შვილის-შვილებს მიუტანს ამბავს.

—

ისინი მაინც მოისვენებენ,
ინგლისელებო, არ დასდოთ ხმალი!
რომ გაეიმარჯვებთ, ამის თავმდები
არის თვით შრომა და სამართალი!

ი. ევდოშვილი.

ბოროტი კაცი.

—

მშვენიერი გაზაფხულის დილა იდგა. მზე მხიარულად დასცქეროდა ზევიდან ქვეყანას. ჩიტების ჟრიამული ბანს აძლევდა ბუნების საერთო ფერხულს.

ამ მხიარულებას არღვევდა მხოლოდ ადამიანის მწუხარე გალობა. „წმიდაო ღმერთოს“ სევდიან კილოს ბანს აძლევდა ეკლესიის დიდი ზარი და ორივე ერთად იფანტებოდა სივრცეში...

სოფლის გზაზე მიცვალებულს მიასვენებდნენ. წინ სამი მუშა-მგალობელი „წმიდაო ღმერთოს“ ამბობდა ისეთის გრძნობით, თითქო უნდოდა, ამ გალობაში გამოეხატა მთელი თავისი მრავალტანჯული მდგომარეობა.

მგალობლებს სქელ-სქელი, ჰლარა-გარეული მღვდელი ზანტად მისდევდა. მას გვერდში უდგა სახე-აკენკილი მთავარი და ბანს აძლევდა მუშების სევდიან გალობას, მაგრამ ეს ბანი მგალობელთა გრძნობიერ გალობასთან შედარებით უგულოდ გაისმოდა ჰაერში...

რამოდენსამე გლეხს მიჰქონდა კუბო. მათ მიჰყვებოდნენ გროვად ფეხშიშველა ბავშვები —გლეხის შვილები.

ყველა ეკლესიისაკენ მიეშურებოდა.

ამ დილას, გაზაფხულის მშვენიერ დილას ასაფლავებდნენ სოფლის მასწავლებელს, ჯერ ახალგაზრდას, რომელიც ჰლექს გადაჰყვა.

„ბუმმმ... ბუმმმ... ბუმმმ...“—გაისმის ზარი და ისი ხმა შორს, შორს, ბუნების სივრცეში იკარგება სადღაც...

ამ ხმას თან მიჰყვება მგალობელთა სევდიანი „წმიდაო ღმერთო...“

დიდი ზარის ბოხ ხმას ბანი მისცა წვრილმა ზარებმა და ახლა მთელ სოფელში გაისმის ზარების გრიალ-წკრიალი...

მიცვალებული შეასვენეს ეკლესიაში...

დაიწყო წირვა...

—

ვლადიმერი, ახლად გარდაცვალებული სოფლის მასწავლებელი, ღარიბი კაცის შვილი იყო. ჯერ კიდევ ორი-სამი წლისაც არ იქმნებოდა, რომ დედა გარდაეცვალა და ბავშვი უდედოდ უპატრონოდ დარჩა.

ვლადიმერის მამა მარჯვე კაცი იყო და ისე შეინახა თავისი ლადიკო რვა წლამდის, რომ მაწვილს არ უგრძვნია ობლობა. რვა წლის ლადო მიაბარეს სასწავლებელში.

ბავშვმა სწავლაში ნიჭი გამოიჩინა, საოსტატო ინსტიტუტში მიაბარა და აქ სწავლა რომ დაასრულა სოფლის მასწავლებლობა დაიწყო.

ყოველთვის მშვიდი, მოსიყვარულე, ბავშვებს მოფერებით იახლოვებდა და ისე წაახალისა სწავლაზე, რომ ვერც კი იცნობდა ადამიანი, რომელსაც წინეთ ენახა ისინი.

მღვდელმა მასწავლებლის სიკვდილი რომ გაიგო, მაშინვე მთავართან ერთად წავიდა გარდაცვალებულის სადგომში, გადიხადა პანაშვიდი და პანაშვიდს შემდეგ წინადადება მისცა ერთ სოფლელს, მასწავლებლის მეზობელს, აეწერათ გარდაცვალებულის ავლა-დიდება.

— აქ ხალხი მაშენიკია. ჯიბიდან ამოგაცლიან, თუ გაგაჩნია რამე... აქ რაღას დასტოვებენ!

ასწერეს მასწავლებლის ქონება. გადმოიღეს ზანდუკი, სადაც წიგნები ეწყო.

გადმოალაგეს საუკეთესო მწერალთა ნაწარმოები. აგერ ერთი ფილოსოფიური წიგნი, აგერ საისტორიო გამოკვლევა, მსოფლიო ისტორია,—აგერ საპოლიტიკო ეკონომიის სახელმძღვანელოც...

სიტყვამ „საპოლიტიკო“ მღვდლის ყურადღება მიიპყრო.

— ეს რა ყოფილა? საპოლიტიკო?.. მასწავლებელი, სოფლის მასწავლებელი და... საპოლიტიკო... დიდება უფალს!.. ეს ჩვენი მასწავლებელი „ბოროტი კაცი“ ყოფილა და დღემდის არ ვიცოდით რა? ღმერთო ჩემო! გლეხებსაც შეაცდენდა ალბად და ააბუნტებდა!.. საპოლიტიკო?!.

საშიში წიგნი, რომელსაც „საპოლიტიკო“ ეწერა, ცალკე გადასდო მღვდელმა. სიაშიც არ ჩაუტანია.

— სიაში ჩავიტანო, ხომ შეიტყობენ, თუ რა „ბოროტი კაცი“ გვყოლია მასწავლებელი და ხომ მომხვდება საყვედურები უფროსისაგან, რომ დროზე ვერ შევიტყე მისი «ბოროტება» და არ შევატყობინე მთავრობას. რაღ უნდა ჩავება თავი უსიამოვნებაში, ისევე გადავაგდებ სადმე ან დავწვავ ამ „საპოლიტიკოს“,—არავინ გამიგებს...

ასეც მოიქცა. წიგნი ფრთხილად ჩაიდო უბეში, თითქო ეშინოდა, არ მომშხამოსო, და შინისკენ გასწია..

— დომინიკა! ჩვენი „უჩიტელი“-ც ხომ «საპოლიტიკო“ ყოფილა და დღემდის არა ვიცოდი-რა! „საპოლიტიკო“-ს კითხულობდა,—აი, შეხედე, წიგნიც ვუპოვნე,—ხედავთ, რა აწერია!

— აი, დიდება შენთვის უფალო,—ამოიოხრა პირჯვრის წერით მღვდლის მეუღლემ, პირ-რგვალმა, ჩასუქებულმა დომინიკამ. ესეც მეფის მოღალატე ყოფილა! არ დაგინახოს ვინმე მტერმა ეს ცოდვის წიგნი, გადააგდე ეშმაკის მანქანება, რად გინდა, შინ რომ მოგიტანია?!.

და ორივემ, ცოლ-ქმარმა ერთად, ფრთხილად მოიხურეს სახლის კარები და პირჯვრის წერით ჩააგდეს ცეცხლში საშიში წიგნი,—„საპოლიტიკო“.

— ღმერთო შემიბრალე მონა შენი,—იძახდა მღვდელი და მისი ღირსეული მეუღლეც პირჯვრის წერით მის სიტყვებს იმეორებდა.

მაგრამ მღვდელი დროებით მაინც შეურიგდა „საპოლიტიკო“ მასწავლებელს, პანაშვიდებს უხდიდა და, აი, დღეს ეკლესიაში წირავდა კიდეც.

წირვა თავდება. მგალობლები „შენ ხარ ვენახი“ გალობდნენ და ეკლესიაში ბლომად თავ-მოყრილი ხალხი, რომელსაც უყვარდა თავისი ერთგული, პატიოსანი მასწავლებელი, პირჯვრის წერით მიცვალებულს საუკუნო ხსენებას უთვლიდა.

ერთი პირი გალობა გათავდა... გამოვიდა მღვდელი... ხალხი ჩაჩუმდა და მიიწია მღვდლისაკენ,—შეატყო, რომ მღვდელს ქადაგება უნდოდა.

მღვდელმაც ერთი მაგრად ჩაახველა და თვალები მიაპყრო ზეცას.

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ!—დაიწყო მღვდელმა.—შვილებო! საშინელება რამეა სიკვდილი, მაგრამ ღვთის ნებით ყველას გვიწერია იგი და მას ვერ გაექცევა ვერავინ, ვერც მდიდარი და ვერც ღარიბი ადამიანი. სიკვდილი ყოვლად მოწყალე უფლის ნებით გაჩენილია და, ადრე იქმნება თუ გვიან, ყველანი წავსდგებით ზეციერ მამის წინაშე, რომელმაც უნდა განსაჯოს ცოდვილი და მართალი.

ცოდვილ კაცს ყოვლად მოწყალე ღმერთი ხშირად ადრევე უსპობს სიცოცხლეს, რათა არ განმრავლდეს ცოდვა და ადამიან ასცდეს ჯოჯოხეთს. ღმერთი შემუსრავს ყველას, ვინც არ მარხულობს ან არ დაიარება წირვა-ლოცვის მოსასმენად ეკლესიაში.

შეხედეთ ამ ჭაბუკს,—გვიყვარდა, გვენანება მისი სიკვდილი, მაგრამ არ ვიცოდით, რომ იგი ცოდვილი კაცია, ღვთის მცნებათა დამრღვევი და მოღალატე. ჩვენ არ ვიცოდით, რომ თურმე იგი „საპოლიტიკო“ წიგნებს კითხულობდა, ჰგმობდა ამითი ჯერ უფალს, შემდეგ ხელმწიფეს და ამიტომ სული მისი გეენასა შინა უნდა ჩავარდნილიყო უთუოდ. ამიტომ, შეიბრალა იგი უფალმა (მღვდელმა აქ სამჯერ გადისახა პირჯვარი და ხალხმაც ამის შეხედვაზე პირჯვრის წერა დაიწყო)... და მოუსპო ახლავე სიცოცხლე და წარვლინა იგი ზეციერსა სასამართლოსა წინაშე; უნდა გვიხაროდეს, რომ არ გაძლიერდნენ ცოდვანი მისნი და უნდა გვეშინოდეს, რომ ჩვენც არ მოგვივიდეს ცოდვა „საპოლიტიკო“ აზრებისა, და ვიყოთ ღვთის მოშიში აწიერიდან უკუნისამდე“...—

ნახევარ საათის შემდეგ წირვა გამოვიდა. კუბოსთან წესი გადიხადეს და ხალხმა, რომელიც გალავანში თავმოყრილი იცდიდა, წაიღო მიცვალებული სასაფლაოსკენ.

ისევ ის მწუხარე გალობა, ისევ ის მშვენიერი გაზაფხულის დღე. ჩიტების ჭიკჭიკი ისევე გაისმის ჰაერში და ამ ჭიკჭიკს ისევ უერთდება მუშა-მგალობლების მწუხარე „წმინდაო ღმერთო“...

კუბო მოასვენეს სასაფლაოზე. აქაც აუგეს წესი და მიაბარეს დედამიწას, მიაბარეს „ბოროტი კაცი“, რომელსაც, თურმე, „საპოლიტიკო“ წაეკითხა...

მღვდელი შინ დაბრუნდა, კმაყოფილი თავის ქადაგებით...

უხაროდა, რომ ის წიგნი,—„საპოლიტიკო“, დასწვა ცეცხლში და ვერავინ ველარ შეიტყობდა, თუ აქ, ამ სოფელში ოდესღაც სცხოვრობდა „ბოროტი კაცი“...

პ. დადვაძე.

შენიშვნები

—

ეს ამბავი 1826 წელს მოხდა.

გენერალი ლევაშოვი გამოძიების დროს ეუბნებოდა ერთ დატუსაღებულ საპოლიტიკო დამნაშავეს:

— აჩქარებულხართ, აჩქარებულხართ; ერთი ორმოცდა ათი წელიწადი კიდევ უნდა მოგეცადათ უთუოდ...

გენერალი ლევაშოვი ფიქრობდა, ალბად, რომ ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში, ,,თავისთავად'' შესრულდება რუსების ყოველი ნატვრა... მაგრამ... გავიდა ორმოცდაათი წელიწადი, გავიდა კიდევ ოცდაათი და ცხოვრებამ სრულებით ვერ დაანახა რუსეთს იმისი განხორციელება, რასაც მოითხოვდა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის საზოგადოება. რამდენი საზოგადოება დაარსდა ამის მისაღწევად, რამდენი ადამიანი დაიღუპა... ,,კეთილდღეობის კავშირი'' იყო, ,,გადარჩენის კავშირი'', ,,სამშობლოს ერთგულ შვილთა კავშირი'' და სხვა და სხვა.

რუსეთის საზოგადოება ითხოვდა ახალ წესწყობილებას, ლაპარაკობდა, მსჯელობდა.

1817 წელს რუსეთი ჰფიქრობდა, დღეს არა, ხვალ მივიღებ კონსტიტუციასო...

მაგრამ ამას შემდეგ გავიდა ოთხმოცდაათი წელიწადი და დღეს რუსეთი იქვეა, სადაც 1817 წელს იყო. ოთხმოცდა ათი წელიწადია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ როჟესტვენსკი ემალება ადმირალ ტოგოს და გამარჯვების იმედიც კი აქვს. როჟესტვენსკის საშველად მომავალი ნებოგატოვის ესკადრა ამჟამად სინგაპურს 3600 მილით არის დაშორებული (18 დღე სავალი გზა). მაშასადამე, თუ ადმირალი როჟესტვენსკი პირდაპირ ვლადივოსტოკისკენ წავიდა, ნებოგატოვის ესკადრა—5 დაძველებული გემი მარტოდ-მარტო დარჩება და ვლადივოსტოკამდე მისვლაც ძალიან გაუჭირდება, ანუ, უკედ რომ ვთქვათ, მარტო ამ ესკადრას იაპონელები სულ მთლად გაანადგურებენ. ამას იქით ცხადია, რომ ადმირალი როჟესტვენსკი თვითონვე უნდა ეცადოს ტოგოსთან ბრძოლას და, თუ ვინიცობაა გაიმარჯვა, ნებოგატოვის ესკადრას იქვე, საიგონის მახლობლად მოუცადოს სადმე.

ეს კი ასეა, მაგრამ ისიც ყველასთვის ცხადია, რომ ადმირალი როჟესტვენსკი გაბედულად და, თუ გნებავთ, თავხედურადაც კი იქცევა. მისი ესკადრა 15 სამხედრო გემისაგან შესდგება (მაშველ კრეისერებისა და ნაღმოსნების გარდა, რომელთაც დიდსა და ხელ-ჩართულ ბრძოლაში თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ). მათშორის ოთხი საუკეთესო ჯავშნოსანი („ალექსანდრე III", „ბოროდინო", „ორიოლ"-ი და „სუვორვ"-ი), 1 უფრო სუსტი ჯავშნოსანი („ოსლიაბია"), ორი დაძველებული მეორე ხარისხოვანი ჯავშნოსანი („ნავარინ"-ი და „სისოი ველიკი") და ორი ძალიან დაძველებული ჯავშნიანი კრეისერი („ადმ. ნახიმოვი" და „დიმიტრი დონსკოი"). ზემოდ ჩამოთვლილ 9 ჯავშნიან გემის გარდა ადმ. როჟესტვენსკის აქვს 6 პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი. მათ შორის 2 დიდი („ოლეგი"-ი და „ავრორა") და 4 პატარა („სვეტლანა", „ჟემჩუგი", „იზუმრუდ"-ი და „ალმაზი"-ი). სინგაპურიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ სინგაპურთან ადმ. როჟესტვენსკის ჰქონდა 15 დიდი გემი, რაიცა იმას ნიშნავს, რომ ამ ესკადრაში ადმ. დობროტვორსკის რაზმიც ერია. ამ ესკადრას იაპონელები ძველ გემების გარდა გამოუყვანენ 13 ჯავშნიან გემსა (5 ჯავშნოსანი და 8 ჯავშნიანი კრეისერი) და 11 პალუბა-ჯავშნიან კრეისერსა, სულ—24 გემსა. მართალია, ისიც მოსალოდნელია, რომ ამ დღეებში ვლადივოსტოკიდან ადმ. იესენი გამოვა იაპონიის ტრანსპორტების სადევნელად, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან იაპონელებს „გრომობოი"-სა და „როსია-"ს მოსაგერებლად ზემოდ ჩამოთვლილ 24 დიდ გემის გარდა აქვთ 1 ძველი ჯავშნოსანი, 3 სანაპირო ჯავშნოსანი, 3 დიდი პალუბა-ჯავშნოსანი კრეისერი, 3 პატარა პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი და 2 დიდი კანონერკა, სულ—12 სამხედრო გემი. მართალია, ყველა ეს გემები ძალიან დაძველებულნი არიან და ცალ-ცალკე რუსეთის კრეისებს ვერ შეებრძოლებიან, მაგრამ ერთად კორეისა და სუნგარის სრუტეებს ისე დაიცავენ, რომ იქნება ადმირალი იესენი ვლადივ[illegible]ც კი გამოუშვან. მაშ ასე: ადმ. როჟესტვენსკის 15 გემს ადმირალი ტოგო 24 გემს გამოუყვანს („ტაიმს"-ის სიტყვით, ამას წინად იაპონიაში დაამთავრეს 2 ახალი და დიდი კრეისერი, მაგრამ ეს ცნობა ჯერ-ჯერობით არ მტკიცდება). ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ იაპონელებს რუსებზე გაცილებით მეტი ნაღმოსანი და კონტრ-ნაღმოსანი აქვთ, ადმ. ტოგოს ჯავშნიანი კრეისერები გაცილებით სჯობია როჟესტვენსკის კრეისერებსა და რუსეთის ესკადრა სულ სხვადასხვა ჯურის გემებისაგან შესდგება (15 გემი 10 ჯურისაა). პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ადმირალი ტოგო რუსეთის ესკადრას ორჯერ უფრო ძლიერ ესკადრას დაუხვედრებს, მაშასადამე, ცხადია, რომ ადმ. როჟესტვენსკის თავის ფლოტი დასაღუპავად მიჰყავს. იაპონიის ფლოტი ეხლა იმდენად ძლიერია როჟესტვენსკის ფლოტზე, რამდენადაც ძლიერი იყო რუსეთისათვის უბედურ დღეს, 28 ივლისს. თუ ეხლა როჟესტვენსკის ტოგოზე ორი ჯავშნოსანი მეტი აქვს, ეს არაფერსაც არ ნიშნავს. 28 ივლისს ადმ. ვიტგეფტსაც 1 ჯავშნოსნით მეტი ჰქონდა ტოგოზე, მაგრამ ვიტგეფტი მაინც დამარცხდა. დამტკიცებაც კი არ უნდა ამას, რომ ხმელეთსა და ზღვაზედაც ბრძოლის ბედს მარტოოდენ რაოდენობა არა სწყვეტავს. ზღვაზე გამარჯვება დამოკიდებულია ადამიანის ხელოვნებაზე, სიდინჯეზე და მეზღვაურთა მამაცობასა და გამოცდილებაზე. ადმირალი ტოგო მედგარი, გამოცდილი, ნიჭიერი და მხნე ადმირალია, იაპონიის მეზღვაურები 14 თვის განმავლობაში ბრძოლის ქარცეცხლში გაიწვრთნენ და საზღვაო ბძოლის საშინელებას უკვე შეეჩვივნენ. მაგრამ შედარებით ად. ვიტგეფტთან როჟესტვენსკისაც ერთი უპირატესობა აქვს: იგი ჯერ არ დამარცხებულა. გარდა ამისა საფიქრებელია, რომ ექვსი თვის განმავლობაში ადმირალმა როჟესტვენსკიმ თავის მეზღვაურები საკმარისად გაწვრთნა, საზღვაო საქმე შეასწავლა და მომავალ ბრძოლისთვის მოამზადა (რ. ვ.).

თუ როგორ გაწვრთნა და მოამზადა ადმირალმა როჟესტვენსკიმ თავის მეზღვაურები, შემდეგიდან სჩანს:

„სლოვო პოლსკი"-ში დაბეჭდილია ერთ საზღვაო აფიცრის წერილი, რომელიც ადმ. როჟესტვენსკის ესკადრიდან არის გამოგზავნილი. აფიცერი, სხვათა შორის, სწერს: სიძაგელმა ჰავამ, მოსაწყენმა უსაქმურობამ და მთელ ქვეყნიდან დაშორებამ ესკადრის აფიცრები და მეზღვაურები იქამდის მიიყვანა, რომ მათ შორის წესრიგს მხოლოდ უმაგალითო სისასტიკით იცავენ. პორტ-არტურის აღებამ და რუსეთის ესკადრის დაღუპვამ მეზღვაურებზე აუწერელი, საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. მეზღვაურებს თავიანთი უფროსები არ უყვართ, ეჯავრებათ. ბევრია ავადმყოფი. საავადმყოფო გემი „ორიოლ"-ი სავსეა მომაკვდავ მეზღვაურებით, ნოსიბეში, სადაც ჩვენი ესკადრა სდგას, რუსეთის გაზეთები გვიან მოდის, მაგრამ ნეტა სულაც არ მოდიოდეს: შიგ ისეთი ამბებია აწერილი რუსეთის ცხოვრებიდან, რომ კითხვის დროს გული გვიკვდება (ს. ო.).

ზოგნი ამბობდნენ, რუსეთის ესკადრა საიგონში არ შევიდაო, მაგრამ ეს ცნობა არ გამართლდა. ამსტერდამიდან იუწყებიან: 31 მარტს რუსეთის კრეისერები საიგონთან გამოჩნდნენო. ჯავშნოსნები კი არა სჩანანო.

ადმირალმა ტრეინმა მანილიდან (ფილიპინის კუნძულებზეა) ამერიკის მთავრობას შეატყობინა: 31 მარტს, დილის 8 საათზე საიგონში საავადმყოფო გემი მოვიდა და თან მრავალი დაჭრილი მოიყვანაო. თუ ეს ცნობა მართალია, ბრძოლა უკვე მომხდარა; მაგრამ რუსეთის საზღვაო შტაბი აცხადებს, მართალია, „ორიოლ-"ი საიგონში მივიდა, მაგრამ დაჭრილები არ მოიყვანაო, ე. ი. ბრძოლა არ მომხდარა. ტოკიოდანაც იუწყებიან, საიგონის მახლობლად ბრძოლა არ მომხდარაო.

ჰააგაშიაც ამბავი მისულა, კუნძულ ანამბასთან საზღვაო ბრძოლა მოხდაო, მაგრამ იქიდანვე იუწყებიან, ეს ცნობა ჯერჯერობით არ მტკიცდებაო.

ლონდონიდან იუწყებიან, ადმირალი ტოგო ადმირალ როჟესტვენსკის კუნძულ ფორმოზასთან ელისო (რ.).

მანჯურიაში. გირინისაკენ მიმავალი გენ. კუროკის ჯარი განუწყვეტლივ წინ მიიწევს. ამ ჯარის ერთმა რაზმმა ფუშუნ-საილუნჩენის გზაზე 30 მარტს დილით რუსეთის ერთ რაზმს მოასწრო (დაახლოვებით 4500—5000 კაცს), შეებრძოლა და უკან დააწევინა. 29 მარტიდან რუსეთის ის რაზმი, რომელიც სხვადასხვა გზით გირინისკენ მიდის, უკან იწევს. მთავარი რაზმი უკვე გირინში მისულა, უკანა რაზმი კი—12000 კაცი ჯერ ჯერობით ხაილიენჩენის მიდამოებში იმყოფება. კაიუიანის გზით გირინს მიმავალი მეორე რაზმიც გირინში ასულა. არიერგარდის რაოდენობიდან სჩანს, რომ რუსეთის ის ჯარი, რომელიც გირინის დაცვას აპირობს, 50—60 ათას კაცისაგან უნდა იყოს შემდგარი.

ზავი თუ ომი? პარიზის გაზეთ „ჟურნალ"-ის კორესპონდენტი, რომელიც ომის გამოცხადების მეორე დღესვე წავიდა ბრძოლის ველზე და რუსეთის ჯართან იყო, მუკდენის ბრძოლის დროს იაპონელებმა დაატყვევეს და მერე გაუშვეს ეხლა ეს კორესპონდენტი რუსეთ-იაპონიის ომის ისტორიას იხილავს და ბოლოს ამბობს: ლიაოიანისა და სანდეპუს ბრძოლის შემდეგ ყველა სერიოზულმა და სამხედრო საქმის მცოდნემ გადაჭრით გამოაცხადა, რომ რუსეთისთვის ერთად ერთი ხსნა დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდებაა. რუსეთის ჯარის უმეტესობა, აფიცრებიცა და სალდათებიც პირდაპირ ამბობენ, ომის გაგრძელება საჭირო არ არისო. რუსეთის ჯარმა მთელ ქვეყანას დაუმტკიცა, რომ იგი მამაცია, მაგრამ მთელი ქვეყანა იმასაც ხედავდა, რომ ეს ჯარი ბრძოლით გატაცებული არ იყო და მხოლოდ იმიტომ იბრძოდა, რომ ბრძოლა და სიკვდილი ნაბრძანები ჰქონდა. აფიცრებიც დარწმუნებულნი არიან, რომ გამარჯვებისთვის საჭიროა სამხედრო წესწყობილებაში დიდი ცვლილებების მოხდენა, მაგრამ იაპონელთა ტყვია-ყუმბარების სეტყვის ქვეშ რეფორმების მოხდენა არ შეიძლება. რუსეთში ატეხილმა მოძრაობამ და მღელვარებამ მანჯურიამდისაც მიაღწია. ცხადია, რომ ომი რუსეთისთვის უბედურად უნდა გათავდეს, მაგრამ რუსეთის მთავრობა ჯიუტობს და არ უნდა შეიგნოს, რომ რუსეთს მხოლოდ ზავი და უმთავრესად კი ძირითადი რეფორმები გადაარჩენს (ნ. ვ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტებისაგან)

ბაქო, 2 აპრილი. დეპოს მუშებმა და ტელეგრაფისტებმა მუშაობაზე ხელი აიღეს. უმთავრეს ლიანდაგზე შეწყდა საქონლის მატარებლების მიმოსვლა. საბუნჩას შტოზე სამგზავრო მატარებლებიც აღარ დადიან. მღელვარება თანდათან კონდუქტორებსა და სადგურზე მოსამსახურეებშიაც ვრცელდება.

ბათომი, 2 აპრილი. დღეს ნაშუადღევის პირველ საათზე ორმა ახალგაზრდა კაცმა ჭარინის პროსპექტზე გასძარცვა ნოტარიუს გრაბოვსკის მსახური და წაართვა 2203 მანეთი. ამავე დროს საავადმყოფოს ზედამხედველს კარლოს ჩხეიძეს ქუჩაში წაართვეს 1100 მან. ბოროტმოქმედნი გაიქცნენ.

ახალი ამბავი

განჯის მაჰმადიან და სომეხ **მოწაფეებს მოუთხოვნიათ,** რომ **მათს სამშობლო ენაზე** 4 კლასამდე **კვირაში ოთხი გაკვეთილი იყოს,** 5 და 6 კლასებში—3 გაკვეთილი, ხოლო 7 და 8 კლასებში—2 გაკვეთილი. გარდა ამისა, მოწაფეებს მოუთხოვნიათ, რომ თათრულისა და სომხურ ენების მასწავლებლებს ჰქონდეთ იგივე უფლება და ეძლეოდეთ იმდენივე ჯამაგირი, რაც სხვა საგნების მასწავლებლებს ეძლევათ. ასეთივე მოთხოვნილებანი წარუდგენიათ ადგილობრივ საქალაქო სკოლების მოსწავლეებსაც და უჩვენებიათ ის წყაროები, საიდანაც შესაძლოა ხარჯების დაფარვა („მშაკ").

✦ გუშინ რკინის გზის გამგეობის შემოსავალთა ნაწილის გამგე (служба сборовъ) **მოხელეებმა—ას კაცამდე—სამუშაოზე ხელი აიღეს** და მოითხოვეს, ნამუშავარის საფასური თავის დროზე გვეძლეოდესო. უფროსმა საქმის მოწესრიგება აღუთქვა.

✦ გუშინ, დილის $3\frac{1}{2}$ საათზე, ავჭალის ქუჩაზე, ტერ-არუთინოვის სახლში, ცოლმა **ხანჯლით მოჰკლა** თავისი ქმარი ჟანდარმის **როტმისტრი რუდაკოვსკი.** უმთავრესი მიზეზი ეჭვიანობაა. რუდაკოვსკი სახლში გვიან დაბრუნებულა. ცოლს ჩხუბი დაუწყია და იმასაც რამდენჯერმე გაურტყამს სილა ცოლისათვის. ცოლს ველარ მოუთმენია და იქვე მაგიდაზე მდებარე ხანჯლით მოუკლავს.

✦ იმერეთის **ეპისკოპოსმა ლეონიდემ** ამერ-იმერეთის სინოდალურ კონტორას ვრცელი **მოხსენება წარმოუდგინა** 21 მარტს გატაცებულ 1849 მანათის და 76 კ. შესახებ, რომელიც შვიდმა შეიარაღებულმა კაცმა წაართვა სასულიერო სასწავლებლის მეთვალყურეს ი. კობახიძეს. წართმეულ ფულიდან ჯერ-ჯერობით 280 მან. უპოვნიათ. ყაჩაღებიდან ორი მოუკლავთ, ორი დაუჭრიათ და სამი შეუპყრიათ.

✦ **მარტვილის მონასტერს დასცემია 3 შეიარაღებული კაცი** და ბერები სენაკიდან გამოურეკა,—**აქედან დაიკარგეთო.** მონასტრის ქონებისათვის ხელი არ უხლიათ.

✦ ზოგიერთი მცხეთელი გლეხი არ თანაუგრძნობს თურმე დღევანდელ მოძ
ლობს სხვებიც გადაიბიროს. მეზო
გლეხობას დეპუტაცია გაუგზავნია მ
სათვის და წინადადება მიუცია, შე
დით საზოგადო საერთო საქმეშიო.

✦ ოთხშაბათს, 6 აპრილს, ვეტცელის
ში **გაიმართება ქართული წარმოდგენა ვ. აბაშიძის სასარგებლოდ.** წარმოადგენენ „საუბედურო დებიუტს", „ბიძიასთან გამოხუბრებას" და „საღამოს ერთი ცხეირი სახეიროა. დასასრულ იქმნება კონცერტ-დივერტისმენტი.

✦ დღეს, 3 აპრილს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, დილის 10 საათზე, **შესდგება სომეხ ლიტერატორთა კრება;** უნდა მოილაპარაკონ პრესსისა, ლიტერატურისა და გამომცემლობის შესახებ და, გარდა ამისა, განიხილავენ რამდენსამე მიმდინარე საგნებს („მშაკ").

✦ რადგანაც გადაწყვეტილია **კავკასიაში სამეტეოროლოგიო სადგურებისა და საცდელ მინდვრების დაარსება,** ამისათვის მიწად-მოქმედების სამინისტრო სთხოვს თავისს რწმუნებულს კავკასიაში—ამ საქმის შესახებ ახლავე სათანადო განკარგულება მოახდინოს.

✦ ქალაქის, იმ მუშების გაუფთხილებლობის გამო, რომლებიც ქუჩებში დარგულ ხეების ტოტებს აჭრიან, 31 მარტს დილით ერთი მოჭრილი ტოტი დაეცა ტრამვაის მავთულს და გაწყვიტა. ამჟამად უმსხვერპლოდ გათავდა საქმე, რადგანაც უსახელო საზოგადოებას მალე შეეტყო და მავთული ისევ შეჰკრა. ახლა **საზოგადოება სთხოვს ქალაქის გამგეობას:** გააფთხილეთ თქვენი მუშები, თორემ უბედურების დროს პასუხის გებას არ ვიკისრებთო.

✦ **წყალთა ინსპექტორი სთხოვს ტფილისის გუბერნატორს,** რაიმე წყარო აღმოაჩინოს კისისხევის კალაპოტის შესაკეთებლად, რადგანაც ადგილობრივ მკვიდრთ (კონდოლელებს) შეძლება არ აქვთ საჭირო ხარჯი გაიღონ.

✦ **საჩივარი** მოქალაქე **ჭილაევისა,** რომელიც ტფილისის მოქალაქეთა გამგეობას უჩივოდა არჩევნებისათვის, ქალაქის საგუბერნიო საქმეთა საკრებულომ უყურადღებოდ დასტოვა.

✦ **პოლიციის ნაწილის უფროსად კავკასიის სანამესტნიკოში** ინიშნება სასახლის პოლიციის უფროსი გენერალი შარინკინი („სლოვო").

✦ გუშინწინ **მთავარ-მართებლის კანცელარიის სტამბის ასოთ-ამწყობებმა** (ამ სტამბაში, სხვათა შორის, იბეჭდება გაზეთი „კავკაზი") **საერთო თხოვნით** მიჰმართეს კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწეს გენ. მალამას. ასოთ-ამწყობნი თხოულობენ შემდეგს: აკციდენციის ასოთ-ამწყობნი (რომელნიც გაზეთზე არ მუშაობენ): 1) დღისით მომუშავეებისათვის რვა საათის სამუშაო დღეს. 2) ღამით მომუშავეებისათვის 6 საათის სამუშაო დღეს. 3) მცირეწლოვან მუშებისათვის (15 წლამდე) 6 საათის სამუშაო დღეს. 4) დღისით მუშაობა ზაფხულში უნდა იწყებოდეს დილის 7-დან 12-დე და 2-დან 5-დე. 5) ღამით მუშაობა უნდა იწყებოდეს ღამის 11 საათიდან და სწარმოებდეს დილის 5 საათამდე. **შენიშვნა:** თუ 11 საათზე ადრე დაიწყებენ მუშაობას ან დილის 5 საათის შემდეგ, საათში 20 კაპ. უნდა ეძლიოთ. 6) ასოთ-ამწყობთა და მბეჭდავთ უქმე დღეს მორიგეობისათვის უნდა ეძლეოდეთ ფასი ერთიორად. 7) საქმის დღეებში მორიგეობა სრულიად გაუქმებულ იქმნას. 8) მსახურთა და მუშათათვის საექიმო დახმარება და წამლები უფასო უნდა იყოს; 9) თუ მოსამსა-

რუსეთის საზოგადოება იბრძვის ბიუროკრატიის, ოთხმოცდაათი წელიწადია, რომ იმეორებს თავისუფლების, ხელუხლებლობის საჭიროებას..

და ბიუროკრატია ყურს იყრუებდა ხალხის სურვილებზე და იყო თავისთვის, ბატონობდა და ეგონა, რომ მუდამ მისი მორჩილი დარჩებოდა საზოგადოება.

რეზოლუციები, ობსტრუქციები, კრებები, მიტინგები...

თავბრუ გვეხვევა... ექიმები, ვაჭრები, მექარხნეები, პროფესორები და ქალები, — ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს და იცდის ..

— შეუძლებელია კარგ კირის გამოწვა, თუ არ მოგვეცა პრესსის თავისუფლება, თუ არ შემოვიდა ახალი წესწყობილება რუსეთში,—ამბობენ მეკირეებიც.

— თუ არ შემოვიდა საპოლიტიკო წესწყობილების ცვლილება, შეუძლებელი შეიქმნება ბრძოლა ხოლერასთან,—ამბობენ ექიმები.

—ურეფორმოდ პირუტყვების ქომობაც არ შეიძლებაო,— გაიძახიან ბეითლები.

—სულის ცხონებაზე ფიქრი შეუძლებელი გახდებაო,—უმატებენ მღვდლები.

—ჩვენც გვაწევს კისერზე ბიუროკრატია,— სჩივიან ჩინოვნიკები.

—სწავლა არ შეგვიძლია,—ჰყვირიან სტუდენტები...

ბიუროკრატია კი ზის თავისთვის, გაჩუმებული...

საყვედურს ეუბნებიან, არცხვენენ:

—შენ ჰღუპავ სამშობლოს, ჰკლავ და აფერხებ ყველაფერს!..

ბიუროკრატია კი არის თავისთვის, იცინის და ბუტბუტებს:

—რა მენაღვლება! ილაპარაკეთ! ილაპარაკეთ, მანამ არ მოგბეზრდებათ, და მერე... მე ვიცი!

— არ შეგვიძლია, ასე ცხოვრება აღარ შეგვიძლია...

—არაფერია... მოიცადეთ... არაფერია!

და ისევ ობსტრუქციები, რეზოლუციები, ბანკეტები... და ისევ იქვე ვართ!..

ღმერთო ჩემო, როდის-და მოეღება ბოლო ასეთ მდგომარეობას? როდის გაგვეღება უკეთესი ცხოვრების კარი?

ეგება, ამ კარის გაღებასაც არ გვიპირებენ? უნდათ ლაპარაკით მოგვლალონ და უწინდელი წესწყობილება დასტოვონ!?..

არა, არ შეიძლება!

გრ. სტარცევი.

(„ნოვოსტი" № 78).

თვითმართველობა და დეცენტრალიზაცია.

ერთია რომელიმე პრინციპი და სხვა—ამ პრინციპის პრაქტიკული განხორციელება.

შეიძლება, რომელიმე საზოგადო დაწესებულების დედა-აზრი ხალხისთვის სასიკეთო იყოს და საქმით კი ამ დაწესებულების მოქმედება შეიქმნეს საზარალო მხოლოდ იმიტომ, რომ მას ცხოვრებაში შესაფერი პირობები არ შეხვდა.

პოლიციის დედა-აზრი ის არის, რომ მოაშოროს საზოგადოებას მავნე ელემენტები, და ამიტომ იქ, სადაც ხალხი ჰგრძნობს თავის მთლიანობას და ერთნაირად უყურებს იმას, თუ რა არის ცუდი ან კეთილი, პოლიციის მოქმედებაც ყოველთვის უნდა შეიქმნეს პატივსაცემი.

პირიქით ყველასთვის საზარელი, ყველასთვის საზიზღარი ხდება პოლიცია იქ, სადაც ხალხი დაშორებულია მთავრობაზე და მთავრობის მოქმედებას ეჭვის ან მტრულის თვალითაც უყურებს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სასურველია საზოგადოდ და ხალხის მოკეთე ყოველი ადამიანი უთუოდ ვალდებულია მოისურვოს ამნაირ სასამართლოს შემოღება, მაგრამ იქ, სადაც ნაფიცი მსაჯულები დაშორებული არიან ხალხზე, სადაც მსაჯულებმა არ იციან ხალხის ენა და ხალხსაც არ ესმის ბრალმდებლის ან ვექილის ნალაპარაკევი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსაც ეკარგება მისი მნიშვნელობა და ფასი.

ესევე ითქმის თვითმართველობის შესახებ.

ამჟამად რუსეთში ხალხი იმდენად გამოფხიზლდა, რომ მხოლოდ სრულიად დაბრმავებულ ან გრინგმუტ-მეშჩერსკისთანა გაფანატიკოსებულ ადამიანს შეუძლიან აამაღლოს ხმა ხალხისაგან მართვა-გამგეობის საქმეში გარევის საწინააღმდეგოდ და ყველა ერთხმად გაიძახის, რომ აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა იქმნეს მოწვეული სრულიად რუსეთის კრება, რომ ამ კრებისთვის ხალხმა პირდაპირის, ფარულის, საყოველთაო და ყველასათვის თანასწორ კენჭის ყრით უნდა აირჩიოს წარმომადგენლები და რომ ხალხისგან არჩეულ პარლამენტს შემდეგშიაც სრული საკანონმდებლო უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული.

ეს პრინციპი,—წარმომადგენლობის, ხალხის გაბატონების პრიციპი,—უთუოდ ყველასათვის მისაღებია.

ამ პრინციპს აღგია როგორც რუსი, ისე პოლონელი, ფინლანდელი, ქართველი, სომეხი და საზოგადოდ რუსეთში მცხოვრები ყოველი ადამიანი.

მაგრამ ამ პრინციპს პრაქტიკული განხორციელება სჭირია და, აი, აქ იჩენს თავს ძირითადი სხვადასხვაობა.

ხალხის წარმომადგენლობის პარლამენტს ზოგიერთი ცენტრალიზაციის საფუძველზე აშენებს, ზოგიერთი კიდევ ამბობს, რომ წარმომადგენელთა კრება უნდა იყოს სახალხო, რომ იგი უნდა იდგეს ხალხთან ახლო და ამიტომ უნდა იყოს ეროვნული, ადგილობრივი.

ცენტრალიზაციის და დეცენტრალიზაციის პრინციპი ებრძვის ერთმანეთს.

რას ნიშნავს ცენტრალისტური თვითმართველობა?

ნიშნავს იმას, რომ მთელ რუსეთში, მის სხვადასხვა კუთხეში ხალხი ადგილობრივ წარმომადგენლებს აირჩევს, რომ შემდეგ ეს წარმომადგენლები მოიყრიან თავს რუსეთის რომელსამე დედა—ქალაქში სხვადასხვა კანონების გამოსაცემად. ამ კრებაში იქმნებიან კავკასიის წარმომადგენლები, იქმნებიან წარმომადგენლები ციმბირიდანაც, პოლონეთიდანაც, ჩრდილო-რუსეთიდან და კასპიის იქითა მხარედან.

ისეთი ხალხი, რომელსაც ერთმანეთში საერთო თითქმის არაფერი არა აქვს, რომელიც არ იცნობს ერთმანეთს, რომელსაც არ აინტერესებს ერთმანეთის საჭიროება, თავს მოიყრის ერთად, ითათბირებს კავკასიაზე, ციმბირზე, პოლონეთზედაც, და ყველასთვის გამოსცემს საერთო კანონებს.

ამნაირ პარლამენტში ყოველი წარმომადგენელი ძალა-უნებურად ეცდება ისეთი კანონები მიაღებინოს კრებას, რომელიც მის კუთხისათვის არის საჭირო. ამასვე ეცდება სხვა კუთხის წარმომადგენელიც. კრება მოუნდება ამ სურვილების შეთანხმებას და ხშირად იძულებული შეიქმნება ორივეს სურვილი დასტოვოს უყურადღებოდ, თუ დაინახა, რომ მისთვის ამ სურვილების ასრულება სახეირო არ არის.

პარლამენტი ან მუდმივ ბრძოლაში იქმნება გართული, ან განუწყვეტლივ კომპრომისების გზას უნდა დაადგეს და ამნაირად ყველა გულნაკლულად დასტოვოს.

ამ კომპრომისების გზაზე დადგომით პარლამენტი თანდათან ნამდვილ ბიუროკრატიულ დაწესებულებად გადაიქცევა. იმნაირ დაწესებულებად, რომელიც ეცდება პეტერბურგში გამოსცეს მთელს რუსეთისათვის და განაპირა ადგილებისათვის კანონები ისე, როგორც ეხლა ნამდვილი ბიუროკრატია სცდილობს მთელი რუსეთის მართვასა და გამგეობას პეტერბურგიდან სხვადასხვა სამინისტროსა და კანცელარიებში.

ცენტრალისტური პარლამენტი ძალაუნებურად არის დაშორებული ხალხზე, ვინაიდან წარმომადგენელთა უმეტესობა არ იცნობს მთელ სახელმწიფოს, არ იცნობს ხალხის უმეტესობას.

და თუ ევროპაში თანდათან უფრო ძლიერდება ხმები, რომ ცენტრალიზაცია, როგორც სახელმწიფო წესწყობილების საფუძველი, არ ვარგა, მით უფრო ცხადი უნდა იყოს ამ აზრის სიმართლე რუსეთისათვის, რომელიც ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით უზარმაზარი რამეა.

რუსებს, რასაკვირველია, სურთ, რომ რუსეთში შემდეგშიაც დარჩეს იგივე ცენტრალიზაცია, როგორც არსებობს ახლა. მაშინ მთელი რუსეთის ხალხებში სახელმწიფო ენად დარჩება რუსული ენა და რუსებს ექმნებათ უფლება, პარლამენტში უმეტესობის ხელში ჩაგდებით შეინარჩუნონ ახლანდელი ბატონობა რუსეთში მცხოვრებ სხვადასხვა ერზე.

ყოველ შემთხვევაში უეჭველია, რომ რუსები მომავალ პარლამენტში ეცდებიან, და ისურვებენ ამნაირ ბატონობას. ასეთი სურვილი ბუნებრივია და აუცილებელი საზოგადო ცხოვრების ახლანდელ პირობათა შეუცვლელად. მხოლოდ ცხოვრებაში სრულებით ჩაუხედავ ადამიანს შეუძლია ამჟამად ლაპარაკი იმაზე, რომ რუსეთის მომავალ პარლამენტში ეროვნულ განხეთქილებას არ ექნება ადგილი და ბურჟუაზია ან რუსეთის თავად-აზნაურობა ნება-ყოფლობით დაუთმობენ ყველა ეროვნებას თავისუფალ კულტურულ განვითარების უფლებას.

რუსის საზოგადოების უმეტესობა ერთ დღეში ვერ გარდაჰქმნის ვერავინ და წარმომადგენლები პარლამენტში ხომ ამ საზოგადოების ასარჩევნი იქმნებიან. ამ საზოგადოებაში კი მხოლოდ აქა-იქ, თითო-ოროლად შევხვდება „ნაშა ჟიზნის" თანამოაზრე, ე. ი. სხვადასხვა ერთა ეროვნულ დამოუკიდებლობის მოსურნე,—უმეტესობა ვერ ასცდენია იმ შეხედულებას, რომ რუსეთი—რუსების კუთვნილება არისო და ამიტომ რუსებს, როგორც ცალკე ეროვნებას, შემდეგშიაც უნდა შერჩეთ ყოველგვარი უპირატესობა სახელმწიფოში.

ამიტომ, ამ ეროვნულ განხეთქილებისა და უნაყოფო ბრძოლის თავიდან ასაცილებლად ითხოვენ ახლავე სხვადასხვა ერის წარმომადგენლები, რომ რუსეთში ახალ წესწყობილების შემოღების დროს იყოს მიღებული მხედველობაში რუსეთის ხალხის სხვადასხვაობა, რუსეთის სივრცე და ეკონომიური ან კულტურული უთანასწორობა და ამიტომ ხალხის წარმომადგენლობა იყოს აგებული დეცენტრალიზაციაზე, ე. ი. ითხოვენ იმას, რომ ყოველ ეროვნებას მიენიჭოს ცალკე არსებობის უფლება, თავისი საკანონმდებლო პარლამენტი, ცალკე წარმომადგენლები, თავისი ავტონომია.

ეს სურვილი გადაჭრით გამოსთქვეს პოლონელებმა,—პოლონელთა-მიერ არჩეულ წარმომადგენლების ხელში უნდა იყოს ყველა ადგილობრივ საქმეთა მართვა და გამგეობაო...

ამავე სურვილს აცხადებენ ფინლანდელებიც, რომელთაც უკვე აქვთ ავტონომიური წესწყობილება მინიჭებული. ფინლანდია იმ თავითვე დამოუკიდებლად განაგებდა ადგილობრივ საქმეებს და სწორედ ამიტომ ამჟამად ფინლანდია მთელ რუსეთში საუკეთესო, ყველაზედ უფრო განვითარებულ და უფრო კულტურულ კუთხედ უნდა ჩაითვალოს უთუოდ.

ავტონომიის აუცილებლობას ჰგრძნობენ რუსეთში საუკეთესო მოღვაწეებიც, როგორც არის, მაგალითად, ბ. ტრუბეცკოი, რომელმაც გამოაცხადა, რომ ავტონომიის მინიჭება ყველა ეროვნებისთვის რუსეთში აუცილებელიაო.

ავტონომია,—ადგილობრივ საქმეების ადგილობრივ ხალხისაგან მართვა და გამგეობა ადგილობრივ კანონების შემუშავება და გამოცემა შესაძლოდ ხდის ხალხის მშვიდობიან განვითარებას და შეუძლებლად ეროვნულ განხეთქილებას. იქ, სადაც ყველა ეროვნებას თავისუფალ განვითარების უფლება აქვს მინიჭებული, სადაც მას საკუთარ საქმეების მართვა-გამგეობაც აქვს გადაცემული, სადაც, ამიტომ, აღარ არსებობს მონა და ბატონი, იქ, რასაკვირველია, ეკარგება საფუძველი ეროვნულ ბრძოლას და ბრძოლის ადგილას შემოდის მშვიდობიანი ეროვნული განვითარება.

ავტონომია არ ნიშნავს აუცილებლად სახელმწიფოს დარღვევას. ავტონომია ნიშნავს მხოლოდ ცენტრალიზაციის მოსპობას, განაპირა ადგილების განთავისუფლებას უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულების ბატონობისაგან, სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილებში სრულ თვითმართველობის შემოღებასაც.

დიდ სახელმწიფოს პარლამენტში მონაწილეობის მიღება ვერაოდეს ვერ გასწევს ავტონომიის მაგიერობას.

ყოველსავე ეროვნებას უნდა ჰქონდეს მინიჭებული ცალკე არსებობის, ცალკე განვითარების უფლება და ამიტომ ყველას უნდა ჰქონდეს მინიჭებული თავისი საკანონმდებლო უფლება, ცალკე პარლამენტი, ავტონომია.

—*.

მუშათაგანი ავად გახდა, სამის თვის ული ჯამაგირი უნდა ეძლეოდეს, დანარ- ახევარი. 10) მოსამსახურეთა და მუშების რიცხვა უნდა ეკითხებოდეს მუშებს. 11) უშებს ზრდილობიანად უნდა ექცეოდნენ. 12) (რუბლზე მეტს მსახურობს, უნდა მიემატოს ა 20 პროცენტი ვინც ნაკლებს—15 პროცენტი. ვირა-უქმეების წინა დღეებში მუშაობა უნდა იყოს ზაფ- ში 7—1 საათამდე, ზამთარში 8—2 საათამდე. 14) მუშა- უნდა შესწყდეს აღდგომის წინ ოთხშაბათს, შობისა—23 ვს, ახალწლისა და წყალკურთხევის წინა დღეს—12 ზე, 16) ცალკე დეპეშების ბეჭდვისთვის უნდა დააკმა- ილონ მუშები 1904 წლის თებერვლიდან 1905 წლის რვლამდე. 17) თუ რომელიმე მოსამსახურე, მუშა ათი ოჯახობიდან მოკვდა ვინმე, დაზარალებულს უნდა ეს დახმარება—ორი თვის ჯამაგირი. 18) სადგომები დალაგებულ-დაწმენდილი იყოს მუშების მოსვლამდე. თვის 15 რიცხვში უნდა ეძლეოდეს ავანსი ჯამაგირში ხვა.

ზეთის ასოთ-ამწყობთა მოთხოვნილებანი: 1) კვირა სრული თავისუფლება. დანარჩენ უქმეებში რედა- ს შეხედულებით 2) კორპუსით აწყობილ სრულ ნო- ე 4 მანათის მომატებას. 3) უკანასკნელი დედანი ასა- ბად რედაქციამ სტამბას ნაშუადღევის სამ საათამდე ჩააბაროს. 4) ძნელად გასარჩევი ხელთნაწერი რე- ციიდან ასაწყობად არ უნდა გამოიგზავნოს. 5) ავტო- და რედაქტორის შესწორებანი პირველ კორექტუ- უნდა თავდებოდეს. 6) ჯამაგირის განაწილება უნდა დეს მეტრანპაჟისა და ასოთ-ამწყობთა თანადასწრებით. თუ ტექსტი მეტი აიწყობა და რაიმე მიზეზისა გამო თში არ მოათავსებენ და თუ რედაქცია გადაარჩევინებს მლევინებს), უნდა მიეცეთ თითო სვეტში, კორპუს 100 სტრიქონში, ათი შაური; 8) განისაზღვროს დარიგო მასალისათვის დედნის რაოდენობა. 9) ცენ- ს ფურცლების გადასათვალიერებლად დანიშნული , 15 მანათი თვეში მოისპოს, რადგანაც ეს კორრექ- ისა და „სვოდკა"-ზე მორიგე ასოთ-ამწყობის მოვა- ბაა.

უ ყველა ამ მუხლებს არ დააკმაყოფილებენ, ჩვენ ყვე- , გაზეთისა და აკციდენციის ასოთ-ამწყობნი, მბეჭ- ი, ასოთ-ჩამომსხმელნი და მემანქანენი მუშაობას თავს ებთ. უკანასკნელ ვადად ვნიშნავთ 2 აპრილს.

უშინ, 2 აპრილს, სტამბის კანტორაში იყო მთავარ- ებლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი ბ-ნი მაქსი- , მოელაპარაკა ყველა მუშებს, მაგრამ ყველა მოთ- ილების დაკმაყოფილებაზე არ დასთანხმდა, ზოგიერ- უხლები კი მიიღო; მაგალითად, 8 საათის სამუშაო მაგივრად 9 საათზე განაცხადა თანხმობა ბ-ნმა ვი- ირექტორმა, მაგრამ მუშები არ დასთანხმდნენ და ობას თავი დაანებეს.

კახეთის ამბები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ხლა ყველასათვის ცხადია, რომ თანამედრო- მოძრაობა არ არის შემთხვევითი, არ არის აპირული, რამდენიმე მავნე პირის-მიერ გამო- ული. არა,—ამას თანამედროვე ცხოვრების ნომიურ ურთიერთობაში აქვს ფესვები. თანა- როვე მოძრაობა ღვიძლი შვილია ეკონომიუ- მსვლელობისა და ცხადია, სადაც კი ეკონო- ი პირობები ხელს შეუწყობენ, ყველგან ს ეს მოძრაობა თავს. ამიტომ კახეთსაც, კვირველია, არ ასცდებოდა ეს ბედი. და, ეწვია კიდეც. კახელმა გლეხმაც აიმაღლა და მედგრად თხოულობს ვისგანაც ჯერ არს რიშის გაწევას. მხოლოდ აქაურ მოძრაობას აქვს სტიქიური ხასიათი,—ხალხი ძალმომრე- ა არა ხმარობს.

ველა სოფელთაგან პირველად მოძრაობამ ოდ გაბედულად თავი იჩინა ენისლის საზო- ოებაში. 24 მარტს სოფელი ენისელი საუც- ო სურათს წარმოადგენდა. მთელ ახლო-მახ- სოფლების ხალხი აქ შეკრებილიყო და ბდა თავის ჭირ-ვარამზე. აქ შეხვდებოდი სა- ლებსაც, ალმატელებსაც და გრემელებსაც. ნენ ჯგუფ-ჯგუფად და წყნარად, მშვიდად იფობდნენ. იქ ყურს მოკრავდით ასეთს ლა- კს: ,,ჩვენ, გლეხ-კაცები, ქვეყნის მრჩენელნი ო, ჩვენ ვამუშავებთ ამოდენა მიწებს და ჩვენ- ილი არ გვიდევს ამ მიწებში; ვითომ რატომ უნდა იყოს მიწა გლეხის საკუთრება? მაგრამ, , ვისი ბრალია? ჩვენ ხეპრეები ვიყავით... ნი მოთმენა აღარ შეგვიძლიან,—მოდი, შევ- ოთ ძმობა ერთმანეთს, ერთად ვიბრძოლოთ ვენი შვილები მაინც დავიხსნათ ამ გაჭირვე- ნათ'' ხალხი ახმაურდა. მოითხოვეს მღვდე- და თითო-თითოდ ჯვარ-სახარებაზე შეჰფი- ერთმანეთს არ უღალატონ, „ვინც უღალა- ,—დედა შეერთოს ცოლადო",—გაისმოდა ში.

მდეგ დაიწყო ცხარე ბაასი მოთხოვნილებე- მესახებ. „ჩვენი მაცხოვრებელი მიწაა, ჩვენ სოდ ცხოვრება არ შეგვიძლიან, სახნავი გვინ- ",—ისმოდა ხმები. ბოლოს შეიმუშავეს მოთ- ილებები, დაიბარეს მამასახლისი, შეამოწმე- და წითელი დროშით ხელში და «გაუ- ას ერთობას" ძახილით გაემართნენ ადგი- რივ სოფლის მემამულეებისკენ ხელის მო- ად. ბოქაული ეცადა ჩარეულიყო და დაეშალა, მაგრამ ხალხმა ახლოს არ მიი- მივიდნენ თ. გენო ჯორჯაძესთან ენისელ- ა მოსთხოვეს მოთხოვნილებებზე ხელის მო- უკანასკნელი უარზე იყო. ლაპარაკის უცბად გავარდა რევოლვერი. ხალხს ეგო- გენო ჯორჯაძემ ისროლა რევოლვერიო, შინლად ალელდა. სახლის რამდენიმე ფან- ჩაამტვრიეს. აქამდისინ არ იციან, ვინ გა- ლა რევოლვერი.

მდეგ ხალხი გაემართა თ. ილიკო ჯორჯა- ენ, რომელიც ქუჩაშივე დახვდათ და მოუ- ხელი. მოუწერა ხელი აგრეთვე ენისლის ელმაც. მივიდნენ კანცელარიასთან, დაით- მწერალი და კანცელარია დაკეტეს,—და- ვეს აგრეთვე მასწავლებელი მლაკასევიჩი. ის შემდეგ გრემისკენ გაემართნენ, მოაწე- გრემის მღვდელს უთუროვს ხელი და გაე- ენ თ. სანდრო ჯორჯაძისკენ, რომელიც ბიძაშვილით ტიტოთი და ექვსი შეიარაღე- ოსით დახვდა და მტკიცე უარი განუცხადა ხელის მოწერაზე. ხალხი ალელდა, მაგრამ სიმშვიდე არ დაურღვევია. „თუ არა-და, მაშ ვნახოთ" —ამ სიტყვებით დაანებეს თავი, დაკეტეს სკოლა, კანცელარია და წავიდნენ საზუეში აქ ყველამ მოაწერეს ხელი: კნ. თამარა ჯორჯაძისამ, თ. ვასო ჯორჯაძის მაგიერ მისმა დედამ, თ. იორამ ჯორჯაძემ, თ. თ. გიგო და დათა ჯორჯაძეებმა. შემდეგ ხალხი დაბრუნდა და დაადგინა: თ. სანდრო ჯორჯაძეს ჩამოერთოს ყველა მოსამსახურეები და სოფელმა გასწყვიტოს მასთან ყოველივე კავშირი. სანდრო ჯორჯაძემ მეორე დღეს განაცხადა სურვილი ხელის მოწერაზე და გაგზავნა ხალხთან ხელწერილი, რომ ყველა იმათ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს და ამას იქით იმათთან ერთად იქნება ჭირშიცა და ლხინშიც.

ამავე დღეს სოფელ გრემში გაიფიცნენ სტანისლავ ვ. შტეინის და ბ-ნ ვოზნესენსკის ზვრების მუშები, რიცხვით 38 კაცი (26 შტეინისა და 12 ვოზნესენსკის). გაფიცულთ თავიანთი მოთხოვნილებები წარუდგინეს დამქირავებელთ და განუცხადეს.—სანამ ამ მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებთ, მუშაობას არ დავიწყებთო. ეს მოთხოვნილებები გამოიხატება შემდეგში:

1) ჯამაგირად მუდმივ მუშებს 8 თვის განმავლობაში უნდა ეძლეოდეს 25 მ. თვიურად, დანარჩენ ოთხ თვეში კი—20 მ.

2) სეტყვის მორტირების მუშებს ზაფხულობით ჯამაგირს გარდა უნდა ეძლეოდეს 5 მ. მეტი; მორტირებთან უნდა იყოს მოწყობილი ქოხები, ამასთან ნავთი და შეშაც.

3) საჭირო სამუშაო იარაღები მამულის პატრონისა უნდა იყოს.

4) რთვლის დროს: ორი ფართუკი, ხალათი და შალვარი უნდა მიეცეთ ხაზეინის ხარჯით.

5) კვირა-უქმეობით სრული თავისუფლება და, თუ ვინიცობაა, მუშაობა საჭირო იქნება, დღეში 1 მანათი უნდა მიეცეს მუშას.

6) ჯამაგირის მიღება ყოველ თვის ბოლოში უნდა ხდებოდეს უეჭველად.

7) თვეში სამი დღით დათხოვნის უფლება ჯამაგირის მოუსპობლად.

8) ავადმყოფობის დროს ერთი კვირის ჯამაგირი უნდა მიეცეს მუშას, ხოლო ერთი კვირის შემდეგ ერთს თვემდის—ნახევარი თვის ჯამაგირი. ამასთან ადგილიდანაც არ უნდა იქნეს დათხოვნილი.

გაფიცულნი ჯერ არ დაუკმაყოფილებიათ.

გ. ქაჯი.

სადღეისო

ვაი, სირცხვილო!

მოწაფე იყო—ქადაგებდა თავისუფლებას, გაიძახოდა: „გაუმარჯოს ძმობას, ერობას! შეეერთდეთ, ძმებო, და ძირს დავცეთ უსამართლობა, ბოლო მოვუღოთ ბოროტობას, შურსა და მტრობას!"

სასწავლებლიდან დაითხოვეს—მისცეს მოწმობა. იხეტიალა, ქუჩა სტკეპნა, სთვალა ბუზები. ერთთან მივიდა—გამოაგდო, იქ—პანღური ჰკრეს და დარჩა ეგრე უადგილოდ, მშიერ-მწყურვალი.

ბოლოს ისურვა სამსახური „სამშობლოსათვის", „თავის ქვეყნისთვის'' სისხლის დაღვრა, თავის დადება. მიიღო ჩინი, პაგონები, ჯილდო ,,ტუმლაკი'', ჩექმებზე დეზი გაიკეთა... დიდი კაცია!—ძინ, ძინ, ძინ!

კუჭი გაიძღო, ტანთ ჩაიცვა, ხალხს გაერია, თუ არ ,,ვოენის'', ვის იკადრებს—რა სათქმელია! ქუდი გვერდზე აქვს დახურული, ხელი კი ხმალზე, ვერცხლის დეზები წკრიალებენ—კმაყოფილია.

დიდი ადგილის ღირსი გახდა... მიიღო კიდეც! მეამბოხეთა დასაცხრობად იგი გაგზავნეს. ,,სამშობლოსათვის'' თავდადებულსა სწორედ ეს სურდა! ,,ერის დიდებამ'' ხელი მიჰყო ქვეყნის სამსახურს...

ჯერ გადაწყვიტა, რომ დაეხშო ხალხის გონება—კვლავ ხელი მიჰყო თოკებს, საკანს, მათრახს, წკეპლებსა, თოფის გრიალი, ხმლის შხუილი მას სმენას უტკბობს და კმაყოფილი ოთახში ზის,—ბედნიერია.

დედა შვილს სტირის, უგზო-უკვლოდ გადაკარგულსა, ცოლი ქმარს მოსთქვამს... ეთხოვება ქმარი ცოლ-შვილსა, ატირებული შვილი მამას უკან მისძახის: ,,მამავ, ხომ მალე დაბრუნდები?.. სად მიდიხარო"?...

ამ ჯოჯოხეთის შემქმნელი კი ,,ერის შვილია!'' გულ-გრილად უმზერს, იღიმება, კმაყოფილია... ერთგულებისთვის ჯილდოს მისცემს მისი ბატონი... ხელს ჩამოართმევს... ქებას ეტყვის,—ეგეც ბევრია!...

სისხლით დამთვრალი იცინოდა, როცა იმის წინ ოთხმოცდაათის წლის მოხუცი შეკრული ეგდო. და მძლავრის ხელით მოქნეული წკეპლის შხუილი [illegible]ად ესმოდა, ნეტარებდა, იღიმებოდა...

მოხუცის ოხვრა, კვნესა, გმინვა, სისხლის თქრიალი, დამჭკნარი ხორცის ნაფლეთები, წყლული, იარა—ყველა ესენი გზას მიკაფავს დიდებისაკენ! —გულში ფიქრობდა და ოთახში დასეირნობდა...

სისხლით გაჰკვალა ცხოვრების გზა—გზა დიდებისკენ, სისხლის რუ შეჰქმნა, თვისი მოძმე ნავად აქცია—ამ ნავით სურდა გაეცურა გაღმა ნაპირზე და იქ აეგო სრა-პალატი მოძმის ძვლებიდან.

მაგრამ უმტყუნა აქაც ბედმა! ვარსკვლავი ჩაჰქრა! მისი ოცნება ქარმა შთანთქა—მიმოაბნია. ხალხმა განდევნა, დაამარცხა თვისი მტარვალი და განკიცხული, შერცხვენილი უფროსს მიუგდო.

დღეს ეს ვაჟკაცი აქ ბრძანდება... დადის, სეირნობს, მოგესალმება, ხელსაც გიწვდის—სისხლით შეთხვრილსა... და ჩვენც ღიმილით ქუდსა ვუხდით, ხელს ჩამოვართმევთ თან მოვიკითხავთ: ,,ხომ კარგად ხართ?'' ვპატიჟობთ სახლში...

ვაი, სირცხვილო! უნამუსო პირმოთნეობავ! ერის მტარვალსა ვერ ვუბედავთ ზიზღის გამოთქმას!..

ვალიკო გურული.

მოსკოვის ვექილთა გადაწყვეტილება.

1905 წ. 13 მარტს მოხდა მოსკოვის ნაფიც ვექილთა საერთო კრება. კრებას დაესწრო 280 ვექილი. თავმჯდომარედ იყო არჩეული ნ. ი. ტესლენკო. წევრებმა მრავალი სიტყვა წარმოსთქვეს (ილაპარაკეს: ვ. მაკლაკოვმა, ნ. ჟდანოვმა, მ. მენდელშტამმა, ა. ლედნიცკიმ, ვ. პრჟევალსკიმ, ა. შმაკოვმა, ა. როზენბლუმმა, პ. მალიანტოვიჩმა, ს. კოზლოვსკიმ, კოტლეცოვმა და სხვ.).

კრებამ შემდეგი რეზოლუციები მიიღო:

I. პეტერბურგის ვექილთა საზოგადო კრებისაგან შემუშავებული.

II. ვ. ვ. პრჟევალსკის მიერ წარდგენილი.

1) სახელმწიფო წეს-წყობილების შესახებ რამე საკონსტიტუციო საბუთი უნდა იყოს დაწერილი.

2) ეს საკონსტიტუციო საბუთი უნდა შეიმუშავოს და შეადგინოს დამფუძნებელმა კრებამ, შემდგარმა ხალხის მიერ საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და საიდუმლო კენჭის ყრით არჩეულ წარმომადგენლებისაგან.

3) კონსტიტუცია შემდეგ დედა-აზრებზე უნდა იყოს აგებული:

ა) ხალხის წარმომადგენლობა უნდა იყოს მოწყობილი, როგორც მუდმივი დაწესებულება, საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და საიდუმლო საარჩევნო უფლებაზე აშენებული.

ბ) ხალხის წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ მინიჭებული საკანონმდებლო უფლება, მათ უნდა ჰქონდეთ საკანონმდებლო ინიციატივა, სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის შემუშავება, გადასახადების შემოღება და მათვე უნდა ჰქონდეთ აღმასრულებელ დაწესებულებებზე მინიჭებული კონტროლი.

გ) აღმასრულებელი უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული მინისტრთა კაბინეტს, რომელიც თავის მოქმედებაში პასუხს აგებს ხალხის წარმომადგენელთა წინაშე.

დ) სასამართლო უნდა იყოს აგებული შემდეგ პრინციპებზე: მსაჯულთა დამოუკიდებლობა და უფროსებისგან უცვლელად დატოვება, მათი არჩევა თვით ხალხის მიერ, ნაფიც მსაჯულების შემოღება, საქმის წარმოება საჯაროდ, საპოლიტიკო საქმეების ნაფიც მსაჯულთაგან გარჩევა, ყველასი სრული თანასწორობა სასამართლოს წინაშე.

ე) რუსეთის ყველა მოქალაქეს, წოდების, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, უნდა ჰქონდეს მინიჭებული შემდეგი უფლება: პირადი და კერძო სადგომის ხელუხლებლობა, სიტყვის, ჟურნალ-გაზეთის, სარწმუნოების, მისვლა-მოსვლის, კრების, შეკავშირების, გაფიცვის თავისუფლება და ყველა ეროვნულ ენის თანასწორობა.

3) ადგილობრივი მართვა-გამგეობა უნდა იყოს აგებული სრულ და დამოუკიდებელ თვითმართველობის პრინციპზე.

III.—საზოგადო კრებამ დაადგინა: 1) სთხოვოს ქალაქის საბჭოს შეიარაღებულ მილიციის მოწყობა მშვიდობიან მოქალაქეთა დასაცველად და 2) ითხოვოს, რომ პოლიცია ქალაქების და ერობების განკარგულებაში გადავიდეს.

VI.—რაკი იაპონიასთან ომი ხალხის დაუკითხავად არის დაწყებული, მის ინტერესებისთვის სრულებით უცხოა, უზომო ხარჯებს მოითხოვს, უმიზნოა და თავის უზომო სისხლის ღვრით უმაგალითოც, ამიტომ საზოგადო კრებამ დაინახა საჭიროდ, რომ ხალხის წარმომადგენლებს დაუყოვნებლივ მიეცეს წინადადება ამ ომის შეწყვეტის შესახებ.

რუსეთი

რუსეთის პატრიარქი. „მატენ"-ის კორესპონდენტი პეტერბურგიდან დეპეშით იუწყება: სინოდმა პატრიარქის არჩევა იმიტომ გადასწყვიტა, რომ რუსეთის უმაღლესმა მთავრობამ ასე მოინდომა. მაგრამ რად მოინდომა მთავრობამ პატრიარქი—ჯერ-ჯერობით საბოლოოდ ვერ გამოვიკვლიეთ. ბევრ ბობოლა ბიუროკრატს ვკითხე ამის შესახებ და ეს არის ცარსკოე სელოდან ეხლა დავბრუნდი. ვისაც პატრიარქის შესახებ ვკითხე რამე—ხმა არ გამცეს, ვისაც სამღვდელოებაში ლიბერალურ რეფორმების შესახებ დავუწყე ლაპარაკი—ღიმილი დამიწყეს. ბოლოს მივხვდი, რომ ბიუროკრატიამ გამოსჭედა ახალი და მჭრელი მახვილი—პატრიარქი, რომელიც იმათთვის არის საჭირო, ვისაც ამჟამად დიდი ბურჯი სჭირიათ. ამის შესახებ ერთ ისეთ კაცს ველაპარაკე, რომელმაც დაახლოვებით იცის უმაღლეს მთავრობის პოლიტიკა. ამ ლაპარაკიდან მე შემდეგი დასკვნა გამოვიყვანე: მთავრობა რაღაც გადაწყვეტილებას დაადგა, მაგრამ მის ასრულებას ვერ ბედავს. როცა ამ გადაწყვეტილებას მართლ-მადიდებელ ეკლესიის მთავარი, ღვთის წარმომადგენელი აკურთხებს და მოიწონებს, მაშინ ამ გადაწყვეტილებასაც მნიშვნელობა ექნება, რადგან განზრახული საქმე ღვთის ნებართვით იქნება აღიარებული. მაგალითად, ზავი. ამრიგად ზავი, რომელიც საერო კრებამ უნდა გადასწყვიტოს, ბუნებრივი, კანონიერი მოვლენა იქნება, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ეპისკოპოსთა კრებისა და პატრიარქის ღვთის-მიერ ჩაგონებული საქმე იქნება. ამიტომაა, რომ პატრიარქის არჩევას რუსეთის მთავრობა ძალიან აჩქარებს (რ. ვ.).

ინჟენერთა კავშირის დადგენილება. ფინანსთა მინისტრის კოკოვცევის თავმჯდომარეობით შემდგარმა კომისიამ მუშათა დაზღვევისა და საზოგადოთ მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხი უნდა გამოარკვიოს. პეტერბურგში ამას წინად დაარსდა სრულიად რუსეთის ინჟენერთა და ტეხნიკოსთა კავშირის ბიურო. ამ დღეებში ამ კავშირის ერთ წევრს ბიუროსთვის უთხოვნია, კოკოვცევს ვთხოვოთ, რომ თავის კომისიაში ჩვენი წარმომადგენელიც მიიღოსო, მაგრამ, ბიურომ ეს წინადადება ერთხმად უარჰყო შემდეგის მოსაზრებით: 1) რუსეთის მრეწველობის ნორმალური განვითარება და მუშათა მდგომარეობის ძირიან-ფესვიანად შეცვლა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა რუსეთში სრული სიმართლე დამყარდება და მუშასა და კაპიტალისტს შორის კანონიერი ურთიერთობა შემოიღება. 2) მშრომელ ხალხის ცხოვრების სერიოზული გაუმჯობესობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ხალხი უზრუნველ-ყოფილ იქნება, რომ შემდეგში ბიუროკრატიული ძალმომრეობა და თვითნებობა აღარ განმეორდება (რ. ვ.).

გუბერნატორის დარიგება. ტულის გუბერნატორს შლიპეს მთელი გუბერნია მოუვლია და გლეხები მამაშვილურად დაურიგებია. გუბერნატორი გლეხებს მხოლოდ „არეულობასა", „მოღალატეებსა" და „კრამოლაზე" ელაპარაკებოდა. მამასახლისებიც დაარიგა, თუ გლეხებში დაიწყოს რამე, დაუყოვნებლივ მთავრობას შეატყობინეთო (რ. ვ.).

ორი თანამდებობა. სასოფლო სკოლების ინსპექტორმა კაზანსკიმ გაიგო, რომ [illegible] სკოლის მასწავლებელი ქალი გლეხებს გაზეთს უკითხავსო. ამის გამო ინსპექტორმა სასტიკი რევიზია და გამოძიება მოახდინა: ჯერ მოსწავლეებს და სკოლის დარაჯს გამოჰკითხა, მერე მასწავლებელს სახლშიაც ეწვია და დაწვრილებით გამოჰკითხა, ვის იცნობთ, ვისა სწერთ წერილებს, ვისთან მიდიხართ, ვინ დადის თქვენთან და სხ. შემდეგ მთელი სახლი გადაუქოთა და, რაკი ვერაფერი უპოვნა, მეორე სოფელში წავიდა. იქ გლეხებსა და დედაკაცებსაც გამოჰკითხა, მასწავლებელი თვალითაც არ გვინახავსო. ინსპექტორმა ტანისამოსი გამოიცვალა, ისევ პირველ სოფელში დაბრუნდა, დაიწყო სიარული და ყველას ეკითხებოდა, მასწავლებელი წიგნებსა და გაზეთებს ხომ არ გაძლევთ, რაზე გელაპარაკებათ, როგორ ცხოვრობს და სხვა. როცა ვერაფერი გაიგო, გულნატკენი მთავრობა ისევ შინ დაბრუნდა (რ. ო.).

თეატრი და ხელოვნება

არქიმ. კომიტასის კონცერტი.

პარასკევს, 1 აპრილს, საარტისტო საზოგადოების დარბაზში გამართა არქიმანდრიტ კომიტასმა კონცერტი, რომელიც ორ ნაწილიდან იყო შემდგარი: კონცერტის პროგრამმა შეადგინა საეკლესიო და სახალხო კილოებს. საკონცერტო დარბაზში ტევა აღარ იყო, ყველას უნდოდა საინტერესო კონცერტის მოსმენა.

არქიმანდრიტმა კომიტასმა სომხურ სიმღერა-გალობაში ახალი მიმართულება შემოიტანა. წინად ეჭმადინის და ყარა-მურზას ნაწერებს თუ ეტყობოდა იტალიურ და ფრანგულ მუსიკის გავლენა, არქიმანდრიტი კომიტასი უფრო გერმანელ კომპოზიტორების მიმართულებას ადგია და სცდილობს ვაგნერისებური ელფერი მისცეს მისგან შემუშავებულ სომხურ სიმღერებს. გერმანულ მუსიკის გავლენა ხორობს უფრო ეტყობა.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ სიმღერები კომიტასისაგან შემუშავებულია დიდის ხელოვნებით, განსაკუთრებით სახალხო სიმღერები, მხოლოდ საეკლესიო კილოებს ეჭმადინის მიმართულება უფრო უხდება, უკეთესად გადასცემს ამ კილოების ნამდვილ ხასიათს, თუმცა, მართალია, კომიტასისაგან შემუშავებული სიმღერებიც არ არის მოკლებული აღმოსავლეთის ელფერს.

ისიც უნდა ითქვას, რომ სომხის საზოგადოება აღზრდილია ეჭმადინის მუსიკაზე და ამიტომ შეიძლება მხოლოდ პირველ გაგონებაზე ეხამუშებოდეს საეკლესიო გალობებში ეს ახალი მიმართულება.

კონცერტში შესრულებული სიმღერები საზოგადოდ კარგი არჩეულია და კარგადაც შემუშავებული. განსაკუთრებით მოიწონა საზოგადოებამ დუეტი ,,ჰაბრბან'' და ქურთების სიმღერა ,,სარე სიდანე''.

არქიმანდრიტ კომიტასს საზოგადოება აღტაცებით მიეგება. დარბაზში მრავლად იყვნენ აგრეთვე სომხების მღვდლებიც.

დღეს, 3 აპრილს, დღის 12 საათზე, ეს საინტერესო კონცერტი განმეორებულ იქმნება იმავე დარბაზში.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

2 აპრილი.

ტოკიო. უცხოელთა დეპეშებს ზავის შესახებ იაპონიის ცენზურა იჭერს. ეს ამტკიცებს, რომ იაპონელებს განზრახვა აქვთ რუსეთთან შერიგებაზე დაიწყონ მოლაპარაკება, თუმცა ამას არ ამხელენ.

ვაშინგტონი, 1 აპრილი. ამერიკელი მეზღვაურები ამბობენ, ტოგო როჟესტვენსკის ვლადივოსტოკის გზას არ შეუკრავსო. ადმირალი ევანსი ამბობს, იაპონიისათვის მეტად საჭიროა, რომ მისი ესკადრა არ დამარცხდესო. შიშობენ, ვლადივოსტოკი მეორე პორტ-არტურად გადაიქცევა, როდესაც როჟესტვენსკი მივა.

ჰონკონგი. ინგლისელი მეზღვაური ამბობს, ტოგოს ესკადრა მეზღვაურებისთვისაც ისევე საიდუმლოებით არის მოცული, როგორც საერთოდ ყველასათვისო. ერთის თვის წინად იაპონიის ესკადრა უნახავთ სანგაპურთან, მას შემდეგ კი იქ აღარ მისულა. იაპონიის მხოლოდ ორი გემი უნახავთ ამას წინად და ისიც მზვერავი კრეისერები ყოფილა, რომელნიც ნაპირს ერიდებოდნენ და სავაჭრო გემებს გზას უქცევდნენო. სავაჭრო გემები ბოლოს დროს ფორმოზას ერიდებიან, რადგან აცნობეს, რომ კუნძული ნაღმებით არის შემოზღუდულიო.

მანილა, 31 მარტი. შუადღისას მანილის მახლობლად დაინახეს ერთი კრეისერი და ორი კონტრ-ნაღმოსანი. ჰფიქრობენ, იაპონიის გემები იყვნენ და ინგლისის გემ «კარლისლე»-ს წასვლას უცდიდნენო. „კარლისლეს" ბალტიის ესკადრისათვის სამხედრო სურსათი მიაქვს.

ტოკიო. სამხრეთ-ჩინეთის ნაპირების ყველა გუბერნატორებმა ჩინეთის მთავრობისაგან დარიგება მიიღეს, თუ ვინიცობაა რუსებმა საზღვაო ბაზის მოპოვება მოისურვეს თქვენს გუბერნიებში, ხელი არ შეუწყოთ და არ დასთანხმდეთო. ზოგიერთები ჰფიქრობენ, როჟესტვენსკი იმითიც კი დაკმაყოფილდება, რომ ხელი შეუშალოს იაპონელებს და შეეცადოს, რომ იაპონიის ფლოტმა ნამდვილი ალყა არ შემოარტყას ვლადივოსტოკსაო. ჰფიქრობენ, ახლაა საუკეთესო წუთი საზღვაო ბრძოლისათვის, რადგანაც მომავალის თვის დასაწყისში ტაიფუნი დაიწყებაო. 6 აპრილს მოელიან რუსეთის კრეისერ ,,ვარიაგი''-ს ზღვიდან ამოღებას. ამ რამდენისამე დღის წინად ფორმოზის მთავრობის მოხელეებმა ნება არ მისცეს „ოსაკა შოსენ კაიშის" სანაოსნო ამხანაგობას იაპონიასა და ფორმოზას შორის ნაოსნობის შეწყვეტისა, რადგანაც როჟესტვენსკის ესკადრა შორეულ აღმოსავლეთის ზღვებში ჯერ არ გაჩენილა და კერძო გემების შიში ნაადრევიაო.

ამოი. ჩინეთის მთავრობამ გადასწყვიტა სასტიკად დაიცვას ნეიტრალიტეტი და ნება არ მისცეს ბალტიის ესკადრას მისი დარღვევისა. რუსეთის გემებს მხოლოდ იმდენს ხანს მისცემენ ნავთსადგურებში გაჩერების ნებას, რამდენიც საერთაშორისო უფლებითაა ნებადართული. ნახშირ-სანოვაგის შეძენაზე თვალყურს დაიჭერენ. როდესაც რუსეთის გემები გამოჩნდებიან შორეულ აღმოსავლეთის ზღვებში, შესაფერი განცხადებანი გამოიცემა. აქაურნი საზღვაო საქმის კარგად მცოდნენი ჰგონებენ, რომ საზღვაო ბრძოლა ამოის მახლობლად მოჰხდება.

ჰონკონგი, 1 აპრილი. აქ მოსულ გემის კაპიტანს ბალტიის ესკადრა უნახავს 29 მარტს. კრეისერი ,,ალმაზი'' ახლო მისულა მარჯვნივ და ნიშნით უკითხავს სახელი გემისა, საქონლის თვისება და დანიშნულება, შემდეგ კეთილი მგზავრობა უსურვებია და გაბრუნებულა. როგორც ეტყობა, ესკადრა არა ხანგრძლივის სიარულით არ დაზიანებულა, მწყობრად მიდიოდა და უკან სამი მზვერავი და კონტრ-ნაღმოსნები მისდევდნენო. დღეს მთავრობამ გამოუცხადა მცხოვრებთ, რომ ჩინეთის ნაპირებთან რუსეთის ესკადრამ უნდა გაიაროსო. პატარა გემებსა და მეთევზეთა ნავებს ურჩევენ გაფთხილდნენ და ღამე სანათი არ ჩააქრონ, რომ უბედურება არა მოხდეს-რაო.

2 აპრილი.

პეტერბურგი, 1 აპრილი. „ცერკოვნია ვედომოსტში" დღეს დაბეჭდილია, რომ უწმინდესმა სინოდმა უქვეშევრდომილესი მოხსენება წარადგინა [illegible] ეპისკოპოსთა შეკრების შესახებ პატრიარქის კათედრის დასაარსებლად ეკლესიის მმართველობის მოწესრიგებისათვის. ამ მოხსენებას ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და საკუთარის ხელით წააწერა: „შესაძლოდ არ მიმაჩნია ამ მღელვარების დროს დამთავრდეს ესოდენ დიადი საქმე, როგორიც არის ადგილობრივის კრების მოწვევა, რაც სიწყნარესა და მოსაზრებას თხოულობს. ვიტოვებ უფლებას, როდესაც ამის შესაფერი დრო დადგება, მართლმადიდებელთა იმპერატორთა ძველ მაგალითებისამებრ, მივცე მსვლელობა ამ დიად საქმეს და მოვიწვიო სრულიად-რუსეთის ეკლესიის კრება სარწმუნოებისა და საეკლესიო მმართველობის მოსაწესრიგებლად".

პეტერბურგი. გაზეთ „სლოვოს" პირველი გაფრთხილება გამოეცხადა და ეუწყა, რომ უსაბუთოა ის ცნობაო, ვითომც ადგილობრივ მეურნეობის მთავარ სამმართველოს ცირკულიარით აეკრძალა კრებათა და საბჭოებს, მსჯელობა იქონიონ რეფორმების პროექტის გამო, თანახმად 18 თებერვლის რესკრიპტისა.

მოსკოვი. აღმოაჩინეს ბრბო, რომელიც ანთავისუფლებდა სამხედრო ბეგარაზე გაწვეულთ, მიღებულთა და სათადარიგო ჯარში ჩარიცხულთ. როდესაც სავადმყოფოებიდან შემოწმების შემდეგ სამხედრო საკრებულოში ჰგზავნიდნენ, დაბალი მოსამსახურენი და ფერშლები ყალბ მოწმობებს აძლევდნენ, ვითომც, ავადმყოფობის გამო, უვარგისნი არიანო.

ვარშავა. „ვარშავსკი დნევნიკი" ამშვიდებს საზოგადოებას იმ ხმების გამო, ვითომც მაისში უწესოება მოხდება, რომელიც პირადად და ქონებრივად საშიშიაო. გაზეთი ამბობს, ყოველი მეცადინეობა და მოძრაობა სასტიკად იქნება მოსპობილიო. გენერალ-გუბერნატორმა მაქსიმოვიჩმა ანახლა სამი დედათა კერძო სასწავლებლების დამაარსებელი მანდილოსანი, რომელთაც შემოარჩეულ., წარუდგინეს, სკოლებში სწავლება პოლონურს ენაზე იყოსო, და დახმარება სთხოვეს; მეორე დეპუტაციამ, სატახტო საზოგადოებათა და სექციების თავმჯდომარეთაგან შემდგარმა, მოხსენება მიართვა, რომ საზოგადო სამუშაოები გახსნან ამ მხარეში უსაქმო და დამშეულ ხალხისთვისაო. 4 მემამულეს და 2 გლეხს, რომელნიც ადმინისტრატიულის წესით უნდა დაეტუსაღებინათ იმის გამო, რომ საზოგადო სამმართველოებში პოლონურ ენაზე აწარმოებდნენ საქმეებს, მაქსიმოვიჩი დაჰპირდა, საქმეს განვიხილავ და ზაფხულის მუშაობის გათავებამდე არ დაგაპატიმრებთო.

ლიბავა. გაფიცვა თანდათან გავრცელდა. მუშებს არ უდებენ გემებზე. ზოგ საქონელს უდებენ რკინის გზის სამმართველოს ცირკულიარის გამო. ბევრი მოვაჭრენი ძალიან შევიწროებულნი არიან.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 2 апрѣля 1905 г

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა" ფრეილინის ქ. № 5.